საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 30 ივლისი. 2020 წ. №94 (9020) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ქართული მიწა-წყლის სატკივარი

ასლან ბჟანია „მშვიდობის მტრედი?!“

ავადმოსაგონარი 8 აგვისტოსთან დაკავშირებით

8

ახალგორი - ჯარიმა და კარანტინი შინ დაბრუნების მსურველთათვის

3

ეს რა იკადრა მფრინავმა

მიშამ, ანუ როგორ შეიპარა ხვიჩა ცხინვალში ღამურების დასაჭერად!

3

კელი დეგნანი: მოხარული ვართ საკონსტიტუციო ცვლილებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი რეფორმის ხილვით

– ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა. ამასთან, მისი თქმით, კანონში არ არის გათვალისწინებული ყველა რჩევა, თუმცა მნიშვნელოვანი გაუჯობესებაა.

„მართალია, კანონი არ შეიცავდა იმ ყველაფერს, რასაც ჩვენ და სხვა საერთაშორისო ექსპერტები ვურჩევდით, გათვალისწინებული ყოფილიყო, მაგრამ საარჩევნო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო შეტანილი. ახლა მნიშვნელოვანია კანონმდებლობის ზედმიწევნით განხორციელება მომავალი კვირებისა და თვეების განმავლობაში, მომავალ არჩევნებამდე, რათა ამომრჩევლებს ჰქონდეთ პირობები, გააკეთონ არჩევანი დაშინების გარეშე, თავისუფლად და სამართლიანად, რომ დარწმუნებული იყვნენ არჩევნების შედეგებში“, – განაცხადა დეგნანმა.

ელჩმა ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანიის აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ წარმატებული არჩევნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია, რათა მათ იცოდნენ, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, როგორ მოათავსონ ურნაში უსაფრთხოდ ბიულეტენი და რა უფლებები აქვთ.

* * *

ვიმედოვნებ, ოპოზიციის წარმომადგენლები ყურადღებას გაამახვილებენ თავიანთ პლატფორმაზე და აუხსნიან ამომრჩევლებს, რას მოუტანენ არჩევის შემთხვევაში, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა განაცხადა.

კელი დეგნანმა უპასუხა კითხვას, რომელიც ოპოზიციაში მაჟორიტარობის კანდიდატებზე შეუთანხმებლობას ეხებოდა. საპასუხოდ ელჩმა აღნიშნა, რომ ეს დემოკრატიული პროცესის მახასიათებელია.

„ეს არის სწორედ დემოკრატიული პროცესის დამახასიათებელი. ეს არის კომპრომისი პარტიებს შორის, ეს არის იმ საკითხების განხილვა, რომლებიც მნიშვნელოვანია ამომრჩევლებისთვის და იმ პლატფორმებით წარდგენა, რომლებიც პრიორიტეტულია ამომრჩევლებისთვის, იმის განმარტება, თუ როგორ აპირებენ სხვადასხვა პარტიები, საუკეთესოდ წარმოადგინონ ეს პრიორიტეტები. დათმობები, რომელიც ახლა ოპოზიციას შორის მიმდინარეობს, ჯანსაღი პროცესია. ვიმედოვნებ, ისინი ყურადღებას გაამახვილებენ თავიანთ პლატფორმაზე და აუხსნიან ამომრჩევლებს, რას მოუტანენ მათ არჩევის შემთხვევაში“, – განაცხადა დეგნანმა.

ბონდო ქობულია: რისი იმედი აქვს ოპოზიციას?

4

რუსეთის გონებით ვერ განსჯი!..

პანდემიის ჟამს საქართველოში რუსული დეზინფორმაციის 7 მიმართულება გამოავლინეს!

6

„ახალი ელეაზარი – პავლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვაში“

9



გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 1 აგვისტოს

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა!

რაზე ისაუბრეს პომპეომ და გახარიამ?!

27 ივლისს აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსა და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას შორის სატელეფონო საუბარი შედგა. თუ საუბრის შესახებ ქართული და ამერიკული მხარეების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს შევაჯერებთ, საუბარი მრავალ მნიშვნელოვან თემას შეეხო, თუმცა აქცენტები ერთმანეთისგან აცილებულია.

კერძოდ, აღნიშნული საუბრის შესახებ მაიკ პომპეო სოციალურ ქსელში წერს:

„პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან საქართველოში თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების მნიშვნელობაზე ვისაუბრე. ჩვენ ყოველთვის დავუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტს რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ“.

საუბრის შესახებ რელიზი გაავრცელა სახელმწიფო დეპარტამენტმაც, რომელშიც მათ შორის არჩევნებთან ერთად მართლმსაჯულების საკითხებზეც არის აქცენტი გაკეთებული. განცხადებაში ვკითხულობთ: **„სახელმწიფო მდივანმა ასევე ხაზი გაუსვა თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების მნიშვნელობას ოქტომბერში და აღნიშნა, რომ თანაბარი პირობები არის დემოკრატიული არჩევნების შემადგენელი ნაწილი. ის მიესალმა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას, რომელიც ნაწილობრივ პროპორციულ საარჩევნო სისტემას ამკვიდრებს და ხაზი გაუსვა მიღებული საარჩევნო რეფორმის ზედმიწევნით განხორციელების აუცილებლობას. სახელმწიფო მდივანი გამოვიდა მოწოდებით, გაგრძელდეს ძალისხმევა საქართველოს სასამართლო სისტემის განსამტკიცებლად, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და მართლმსაჯულების და საარჩევნო პროცესების პოლიტიზებაზე გააფრთხილა(...)“.**

საუბრის შესახებ მთავრობის პრეს-ცენტრის მიერ გავრცელებულ რელიზში ართლმსაჯულების ნაწილზე არაა საუბარი, არჩევნებთან დაკავშირებული საკითხი კი ზოგადი სახითაა შემოთავაზებული: **„სატელეფონო საუბრისას, ასევე ყურადღება დაეთმო მომავალ საპარლამენტო არჩევნებსა და განხორციელებულ საარჩევნო რეფორმებს.**

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ახლახან მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები ხელს უწყობს პოლიტიკური პლურალიზმის გაზრდას საქართველოს პარლამენტში და ხელს შეუწყობს პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესში. გიორგი გახარიას თქმით, საქართველოს პარლამენტმა ასევე გაითვალისწინა ეუთო/ODIHR-ის რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი და ხელისუფლებამ ძალისხმევა არ დაიშურა საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებისთვის. პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ელჩ კელი დეგნანის ჩართულობის როლს ამ პროცესში და აღნიშნა, რომ დიპლომატს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობებისა და სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებაში. საუბრისას მხარეებმა ხაზი გაუსვეს საპარლამენტო არჩევნების მაქსიმალურად გამჭვირვალე, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების მნიშვნელობას ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე“.

იდიოტი მიშა დასავლეთს აკრიტიკებს!

ივანიშვილს და მის დამქაშებს ენის მოჩლექა არ ესმით!

საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთს უფრო მკაფიო კრიტიკისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ დიპლომატიური ენა „ბიძინა ივანიშვილს და მის მთავრობას არ ესმის“.

„ამერიკელები და მთლიანად დასავლეთიც სულ უფრო კრიტიკულია ივანიშვილის და მისი რეჟიმის მიმართ, მაგრამ მაინც გამოიყენება დიპლომატიური ენა, ივანიშვილს და მის დამქაშებს კი არ ესმით დიპლომატიური ენა და ენის მოჩლექვა.

ამიტომ, რა თქმა უნდა, მე, როგორც ადამიანი, რომელსაც დიდი ხანია აქვს კონტაქტები ამერიკაში და დიდი მეგობრობა მაკავშირებს ამ ქვეყანასთან, მოველი პოზიციის კიდევ უფრო მკაცრ ჩამოყალიბებას და იმის ნათლად განმარტებას, რომ საქმე გვაქვს ბოლომდე კორუმპირებულ პრორუსულ რეჟიმთან“, — განაცხადა სააკაშვილმა Facebook-ზე გამოქვეყნებულ ვიდეომიმართვაში.

სააკაშვილი ამბობს, რომ იგი ივანიშვილის ხელისუფლების შეფასების დროს დასავლეთისგან „კიდევ უფრო ზუსტ ფორმულირებებს“ მოელის „ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე“: **„დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ასეც ჩამოყალიბდება, ყველაფერი აქეთკენ მიდის. ტენდენცია ძალიან სწორია. ველი კიდევ უფრო მეტ, ძალიან მკვეთრ პოზიციებს“.**

27 ივლისს აშშ-ის სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსა და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას შორის სატელეფონო საუბარი შედგა. საუბარი ძირითადად შეეხო მართლმსაჯულების სისტემას, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და დეოკუპაციის პოლიტიკას.

„ერთი შეხედვით, ეს სრული იდიოტიზმის გამოვლინებაა. მეც ასე ვთვლი, მაგრამ იქვე ვაცნობიერებ, რომ მხოლოდ ზედაპირული, ემოციური შეფასებით ვერ აიხსნება ის, რასაც გაცილებით ღრმა ფესვები აქვს და რის ახსნასაც ჩაძიებული კვლევა სჭირდება.

„ლიბერალური კრიზისი“

რაც დღევანდელ შტატებში ხდება და რის გამოხატულებასაც ჩიკაგოს პრეცედენტი წარმოადგენს, ლიბერალური დემოკრატიის სერიოზულ კრიზისზე მეტყველებს. აზროვნების, ცნობიერებისა და თავისუფლების პრიმატზე დამყარებული სახელმწიფოებრივი წყობილების ეს ფორმა დიდი ხნის განმავლობაში გვიჩვენებდა საკუთარ უპირატესობას სხვა ფორმებთან შედარებით. არა მხოლოდ იმის გამო, რომ მეტი საზოგადოებრივი სიმდიდრისა და მოქალაქეთა დაცვის სოციალური მექანიზმების შექმნა მოახერხა. მისი ძლიერების უმთავრესი წყაროც და შედეგიც მაქსიმალური თავისუფლება და პასუხისმგებლობა იყო. სწორედ ამ ორ, საბაზისო ღირებულებაზე დაყრდნობით შეიქმნა ყოველივე ის, რასაც ლიბერალური დემოკრატიის ფანტასტიკურ მიღწევათა სახელით იცნობს კაცობრიობა. ეს ტანდემი საოცარი სინქრონით მოქმედებდა დღემდე, მაგრამ ფლოიდის ისტორიამ აჩვენა, რომ მეორე უნუგეშოდ ჩამორჩა პირველს. უფლება და თავისუფლება სათანადო პასუხისმგებლობისა და კანონმორჩილების გარეშე შეიძლება არა პროგრესის, არამედ ანარქიის წყაროდ იქცეს და საფრთხე შეუქმნას იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რასაც ეფუძნება ლიბერალური დემოკრატია.

თუმცა, ეს ყველაფერი როდია. მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ საშუალო სტატისტიკურმა ამერიკელმა პასუხისმგებლობა და კანონმორჩილება დაკარგა, თავზე ხელი აიღო და მტვრევა-ლეწვაზე გადავიდა. ეს შედარებით იოლი და მოგვარებადი საკითხია. ბევრად უფრო სერიოზული პრობლემა ისაა, რომ კანონით გარანტირებულმა, მაქსიმალურმა თავისუფლებამ საზოგადოების მოზრდილ ნაწილს „რამსები“ აურია, აფიქრებინა, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს, სამაგიეროდ, არავის აქვს უფლება, დაუშალოს მას ის, რაც თვითონ მიაჩნია მართებულად. ამგვარი მიდგომა არსებობს არა მხოლოდ საშუალო ობივატელურ წრეებში, არამედ წახალისებულია მაღალ, სახელისუფლებო დონეზე. ყოველივე ამის შედეგია ის ბაკქანალია, რის ამსახველ ფოტო და ვიდეომასალებს ყოველდღე ვხედავთ აშშ ქალაქებში.

მე მგონი, დროა, სოციოლოგიის გამორჩეული ტვინები დღესვე დასხდნენ იმის გასაანალიზებლად, რა ფაქტორების მოქმედებამ და ურთიერთქმედებამ განაპირობა ლიბერალური დემოკრატიის კრიზისი. ამ თვალსაზრისით, ეგებ კარგიცაა, რომ ფლოიდთან დაკავშირებულმა ისტორიამ მანამდე პუდრმიყრილი ბევრი პრობლემა გამოიტანა სააშკარაოზე. პათოლოგ-ანატომს ხომ სხეულის გაკვეთით უფრო იოლად შეუძლია დაადგინოს დაავადების გამომწვევი მიზეზებიცა და მიმდინარეობაც, ვიდრე ზედაპირული დათვალიერებით...“

ზურაბ დათუაშვილი

სტიქია რაჭაში

სტიქიამ ონის მუნიციპალიტეტის სოფლები დააზარალა. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის არჩილ ჯაფარიძის ინფორმაციით, რაჭაში 12 სოფელია გარე სამყაროს მოწყვეტილი. მისივე ცნობით, დაზიანებულია 10 ხიდი, ცენტრალური მაგისტრალი კი სამ ადგილზეა ჩაწყვეტილი. საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას დავალებით, სტიქიის ზონაში შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები გაემგზავრნენ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, რაჭაში სტიქიის შედეგად წყალმომარაგების სისტემაზე მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები იწყება.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, სტიქიის ზონაში გაემგზავრნენ რეგიონული განვითარების საკითხებში სოზარ სუბარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეები ირაკლი ქარსელაძე და ილია ბეგიაშვილი, საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი წერეთელი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ მღებრიშვილი, მაჟორიტარ დეპუტატ გოჩა ენუქიძესთან ერთად.

ონში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენია ჩართული. ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ იოსებ ჭელიძემ განაცხადა.

„ძირითადად დაზიანებულია ინფრასტრუქტურა — გზები, ხიდები და ელექტროგანათების ბოძები. შსს ჩართულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურით და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით. საჭიროების შემთხვევაში, ვისაც ექნება გამოყვანის სურვილი, დამსვენებელს თუ ადგილობრივ მოქალაქეს, დავეხმარებით და გამოვიყვანთ. ამ ეტაპზე მსგავსი არის მხოლოდ ორ ლოკაციაზე, სადაც ჩარჩენილი არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და საგზაოს თანამშრომლები. ჩვენ მათ დავეხმარებით გამოყვანაში და შემდგომ ვიმოქმედებთ ჩვეულებრივ, იმის შესაბამისად, თუ რა მოთხოვნები იქნება მოსახლეობისგან“, — განაცხადა იოსებ ჭელიძემ. სტიქიის შედეგად ონის მუნიციპალიტეტში პრობლემა შეიქმნა წყალმომარაგების კუთხითაც. ქალაქ ონში წყალმომარაგება 400 აბონენტს აქვს შეწყვეტილი.

შეფერხების მიზეზი ცენტრალური მაგისტრალის დაზიანება გახდა. ქალაქ ონის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ლევან შერაზადიშვილის ინფორმაციით, წყალმომარაგების აღდგენამდე აბონენტებს სასმელ წყალს წყალმომარაგების კომპანია სახლებში მიაწვდის.

ახალგორი – ჯარიმა და კარანტინი შინ დაბრუნების მსურველთათვის

ადამიანებს სახლში დაბრუნება უნდათ, მათ კი საზღვრის დარღვევის ბრალდებას უყენებენ, აჯარიმებენ და საკარანტინო ზონაში გზავნიან.

ახალგორის რაიონში ბოლო ერთი თვის განმავლობაში საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები არაერთ მოქალაქეს ეგრეთ წოდებული საზღვრის დარღვევის ბრალდებით აკავებენ. უმრავლესობას ჯარიმას უწერენ და კორონავირუსის პრევენციის მიზნით კარანტინში გადაჰყავთ. როგორც ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტი თამარ მეარაყიშვილი „რადიო თავისუფლებას“ უყვება, საუბარია, დაახლოებით, ორ ათეულ ადამიანზე, რომლებიც არ დაელოდნენ „რაზდახანის“ გამშვები პუნქტის გახსნას, არც პანდემიის დასრულებას და შეგნებულად წავიდნენ ე.წ. საზღვრის დარღვევაზე, რომ როგორმე საკუთარ სახლში დაბრუნებულიყვნენ. ისინი კვეთენ ე.წ. საზღვარს, არც „მესაზღვრეებს“ ემალებიან, დაკავებისას უჩვენებენ დოკუმენტებს, რომლებიც მათ ვინაობას ადასტურებს, ამტკიცებს, რომ ნამდვილად ახალგორის მცხოვრებლები არიან და გადაადგილებისთვის შესაბამისი საშვიც აქვთ.

საქართველოს მოქალაქეები „მესაზღვრეებს“ უხსნიან, რომ, დიდი ხანია, სახლში დაბრუნება უნდათ, დაკავებულებს კი აჯარიმებენ, იქვე, საგუშაგოსთან, სასწრაფო დახმარების მანქანაში სხამენ და ორკვირიან კარანტინში გზავნიან, იქიდან კი ისინი დიდი ხნის უნახავ სახლებში ბრუნდებიან.

„ესენი არიან ის ახალგორელები, რომლებმაც საკუთარი სახლები გასული წლის აგვისტოში დატოვეს. ისინი მაშინ გავრცელებულმა ხმებმა შეაშინა იმის შესახებ, რომ გამშვები პუნქტი სამუდამოდ იკეტებოდა. არიან ისეთებიც, ვინც წეროვანში სინაგურის გავლით გავიდა მკურნალობისთვის და სხვა საჭიროებებისთვის. პენსიონრებისთვის ზამთარში რამდენიმე დღით გახსნეს გამშვები პუნქტი და ზოგი მაშინვე არ დაბრუნდა, შემდეგ პანდემიაც დაიწყო და წეროვანში ნათესავებთან ჩარჩნენ“.

თამარ მეარაყიშვილი ამბობს, რომ ამ ადამიანებს წეროვანშიც აქვთ სახლები, ჰყავთ იქ ნათესავები, მაგრამ სხვაგან ცხოვრება არ შეუძლიათ და მაინც ახალგორის სახლებში ბრუნდებიან, სადაც მთელი ცხოვრება გაატარეს. ახალგორშია მათი მშობლების საფლავები. გარდა ამისა, უკვე ხილის მოსავლის აღების დროცაა და ბაღ-ვენახს მოვლა-პატრონობა უნდა. მაგრამ ასეთ რისკზე წასვლა ყველას არ შეუძლია. თამარ მეარაყიშვილი ერთი გაყოფილი ოჯახის ისტორიას იხსენებს: **„ვიცნობ ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც გასული წლის აგვისტოში სამ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად წავიდა თბილისში მეოთხე შვილის გასაჩენად. შემდეგ საზღვარი ჩაიკეტა და მას შემდეგ ოთხი შვილით წეროვანში ნათესავებთან იმყოფება, ქმარი კი აქაა. თითქმის წელიწადია, ერთმანეთი არ უნახავთ. ბავშვებით მავთულხლართებზე ეს ქალი ვერ გადმოიპარება. აი, ასე დარჩა ეს ოჯახი ორად გაყოფილი. ახლა რაიონში ისევ დადის ხმები, რომ თითქოს იმ ადამიანების სიის შედგენას იწყებენ, ვისაც დაბრუნება უნდა. კარგი იქნებოდა, რომ ადამიანებმა საკუთარ სახლებში დაბრუნება შეძლონ“.**

სამოქალაქო აქტივისტის დაკვირვებით, ბევრი არაა ისეთი ადამიანი, ვისაც ახალგორში დაბრუნების სურვილი აქვს, ამიტომ ამის ორგანიზება რთული არ იქნებოდა. სამართლიანიც იქნება, რომ არა მხოლოდ რუსეთიდან ცხინვალში დაბრუნების მსურველებს, არამედ ახალგორელებსაც ჰქონდეთ ეს უფლება.

ახალგორის ე.წ. სასაზღვრო გამშვები პუნქტი გასული წლის 4 სექტემბრის შემდეგ ჩაკეტილია და გამონაკლისის სახით ის მხოლოდ რამდენჯერმე გაიხსნა. ერთხელ პენსიონერებს მისცეს საშუალება წეროვანში გადმოსულიყვნენ და 5 თვის დაგროვილი პენსია მიეღოთ, რამდენჯერმე კი გადასასვლელი გადაუდებელი ავადმყოფების ტრანსპორტირებისთვის გახსნეს. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს პერიოდულად მძიმე ავადმყოფები ისევ გამოჰყავს ხოლმე. დე ფაქტო ხელისუფლებამ ახალგორის გზა ჩორჩანა-წნელისის კრიზისის გამო ჩაკეტა და ჩორჩანის ტყიდან ქართული პოლიციური საგუშაგოს გატანამდე ახალგორის გამშვები პუნქტის გახსნას არ აპირებს.

30 ივლისს ერგნეთში „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართება. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს დაკავებული მოქალაქეების გათავისუფლების გარდა, ახალგორში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისის საკითხსაც განიხილავენ.

გოგა აფციაური

◎ გაუტიეს!

ეს რა იკადრა მფრინავმა მიშამ,

წარსული **წლების იუმორისტები გულიანად იცინოდნენ ხოლმე, თუ როგორ თარგმნიდნენ რუსულიდან ზოგიერთი ფილმის სათაურს. მაგალითად, პოპულარული აღმოსავლეთგერმანული ფილმი „ესკადრილია „ლეტუჩაია მიშ“ („ესკადრილია „ღამურა“) ერთ-ერთი პროვინციული ქალაქის კინოთეატრში გადიოდა როგორც „ეს რა იკადრა მფრინავმა მიშამ“.**

ეს ამბავი გამახსენდა ამას წინათ, როცა ზოგიერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა ცნობა, რომ შიდა ქართლის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრები ხვიჩა მღებრიშვილი სეპარატისტული რეგიონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე შეიპარა ღამურების დასაჭერად, რომელთა გაყიდვასაც აპირებდა თბილისში, ლუგარის ლაბორატორიაში, ცალისა... 5 ათას დოლარად!

ოსთა კგბ-ს ცნობით, დაკავებული თითქოს ჰყვება, რომ სამხრეთ ოსეთში ღამურების ე.წ. ჭუპრების შეგროვებას და გაყიდვას გეგმავდა. **„მოსაზღვრე ტერიტორიაზე გადასვლის მიზანი, მღებრიშვილმა თურმე ასე განმარტა: ღამურების დიდი კოლონიები მეგულებოდა ცხინვალის რეგიონის სოფლებში არცევში და ღრომშიო“,** — ნათქვამია „ინტერფაქსისთვის“ მიწოდებულ ცნობაში.

რატომ მაინცდამაინც იქ? „იმიტომ, რომ იქ მთელი ესკადრილიაა ღამურებისაო, თითქოს განმარტავდა ხელმოცარული მეღამურე.

მაგრამ ის, რაზეც წარმოდგენა არა აქვს ხვიჩა მღებრიშვილს, მშვენივრად იცის ადგილობრივმა კგბ-მ.

„სამხრეთოსეთური ღამურების პოპულაციისადმი გაძლიერებულ ინტერესს 2012 წლიდან ავლენს რ. ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი. 2018 წლიდან აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო ლუგარის ცენტრთან ერთობლივად საველე ლაბორატორიის საშუალებით ახორციელებს 2,9 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს ღამურებისა და კორონავირუსის მიმართულებით. პროგრამა გათვალისწინებულია 5 წელიწადზე და ხორციელდება HKO Eco Health Aliance-ს თანადგომითო, — იუწყება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და ხვიჩა მღებრიშვილის განზრახვასა და ქმედებაში ერთ უხეშ შეცდომაზე მიუთითებს:

როგორც ადგილობრივი ძალოვანების განცხადებაშია ნათქვამი, რეგიონში მცხოვრები ღამურები ყურმახვილა ღამის ცხოველებია, როგორც ხელფრთიანთა რაზმის დანარჩენი წარმომადგენლები წარმოადგენენ ცოცხალმშობიარეებს და არ აგებენ არავითარ ბუდეებს და სხვა სამალავებს, არ გარდაიქმნებიან ჭუპრებად.

ბუნებრივია, საქართველოში არ შეეძლოთ, ყურადღება არ მიექციათ ამ ბრალდებისთვის, პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გიორგი ვოლსკიმ „სისულელე“ უწოდა სამხრეთ ოსეთის კგბ-ს განცხადებას, თითქოს ლუგარის ცენტრი 2012 წლიდან გაძლიერებულ ინტერესს იჩენს სამხრეთ ოსეთის ღამურების პოპულაციის მიმართ.

„ხანდახან ისეთ რაღაცას დაახეთქებენ, რომ ძალიან ძნელია, სერიოზულად გამოეხმაურო“, — ხელებს შლის საქართველოს დაავადებათა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე პაატა იმნაძე. მისი სიტყვით რუსეთელი მეცნიერ-ეპიდემიოლოგებიც იკვლევენ ღამურებს, შეიძლება სწორედ ისინი უხდიან თავიანთ მომწოდებლებს ღამურებისთვის 5000 დოლარს. ჩვენ კი ღამურებისთვის რაიმე თანხას არ ვიძლევით, იმდენად რამდენადაც შესწავლის შემდეგ ცხოველებს ბუნებაში ვაბრუნებთ.

ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვართან ახლომდებარე სოფლების მცხოვრებნი ღიმილს ვერ მალავენ: ეს რა უცნაური ღამურებია, სეპარატისტთა ტერიტორიაზე ფრენენ, ჩვენთან კი ცხვირსაც არ ყოფენო.

სამხრეთ ოსეთის კგბ-ს განცხადება უაზრობად მიაჩნიათ დაკავებულის ნათესავებსაც. მათი სიტყვით, იქაურმა ხელისუფლებამ აიძულა ხვიჩა, ეს სისულელე ეთქვაო. რა ღამურები, რა ლუგარი, რა ამერიკა, გაოცებულია დაკავებულის ძმა ჯუმბერ მღებრიშვილი.

სასაცილოდ არ ჰყოფნის სამხრეთ ოსეთის კგბ-ს განცხადება დაავადებათა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტროლის ეროვნულ ცენტრის ხელმძღვანელს ამირან გამყრელიძესაც.

„ყოველივე ეს იმდენად არასერიოზულია, რომ მხოლოდ ღიმილს იწვევს. რაიმე კომენტარის გაკეთება შეუძლებელია, გამოდის, რომ კაცი ცხინვალში შეიპარა ღამურის დასაჭერად ლუგარის ცენტრისთვის. ამ ზღაპარს ჩემი არც ერთი შვილიშვილი არ დაიჯერებს, — ირონიას არ მალავს ამირან გამყრელიძე.

რაც შეეხება ლუგარის ლაბორატორიას, ამირან გამყრელიძის განმარტებით, იქ მრავალი გამოკვლევა ტარდება ღამურებზე. ვიკვლევთ ცოფს ღამურებში, სხვა დაავადებებს კორონავირუსის ჩათვლით. ღამურები ხომ სხვადასხვა დაავადების გადამტანები არიან. ბატონმა ამირანმა ხაზი გაუსვა, რომ ამ მიზნით ნიმუშთა მოძიებაში ჩართული არიან სპეციალისტები და არა უბრალო ადამიანები, თანაც... სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

ამდენად, რა შეიძლება ითქვას სეპარატისტული რეგიონის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხმამაღალ განცხადებაზე? ვფიქრობ, პასუხი ერთადერთი შეიძლება იყოს: **ეს რა იკადრა მფრინავმა მიშამ?**



ვადიმ ანასტასიადი
გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი

რისი იმედი აქვს ოპოზიციას?

პოლიტოლოგ პაატა ზაქარეიშვილის შეფასებით — „ეს საპარლამენტო არჩევნები იქნება არა პარტიებისთვის ხმის მიცემის არჩევნები, არამედ რომელიმე პარტიის წინააღმდეგ ხმის მიცემის არჩევნები“ („რეზონანსი“, 10. 07.2020). თუ ამ თეზას დავეთანხმებით, მმართველი პარტიის ადმინისტრაციული რესურსი, კერძოდ, მისი ელექტორატი, ამ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო ოპოზიციური პარტიების, კერძოდ „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი განშტოებების, უპასუხისმგებლო მოქმედებებმა, როდესაც მათ, თავიანთი ლიდერის შეგონებით, საარჩევნო წელს ტოტალური იერიში მიიტანეს თითქმის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაზე და ინსტიტუტებზე (პარლამენტი, პოლიცია, სასამართლო სისტემა, ჯანდაცვა, შეიარაღებული ძალები, ეკლესია და სხვ.)

ოპოზიცია, ამ სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაციის მიზნით პერმანენტულად აწარმოებდა თავიანთი პარტიული ტელევიზიებითა და სხვა საშუალებებით ყოვლად მიუღებელ აღვირახსნილ პროპაგანდას, რასაც არაფერი საერთო არ ჰქონდა საღ აზრთან და კონსტრუქციულ კრიტიკასთან. რაღაც ეტაპზე დაიწყეს საპროტესტო გამოსვლები, მოიერიშე ჯგუფების შექმნა, სახელმწიფო დაწესებულებების დაბოქლომება, თავიანთი გემოვნებით ადგენდნენ ადამიანების სიებს, ემუქრებოდნენ ცალკეულ პირებს, ამბობდნენ, რომ ქვეყნის მმართველობაში მოსვლისთანავე ყველას პასუხს აგებინებდნენ და გაუსწორდებოდნენ და ა.შ.

ქვეყანაში არ დარჩა არც ერთი მათი მოსაწონი სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელსაც ოპოზიცია ყოვლად ნეგატიური ფორმით არ შეჰხებოდა. ალბათ, ოპოზიციის ლიდერები რაღაც „რევოლუციებზე“ ოცნებობდნენ, კითხულობდნენ „ჩე გევარა“-ზე წიგნებს და ფიქრობდნენ, რომ ამ „ფსევდორევოლუციური“ მეთოდებით მიიზიდავდნენ უფრო მეტ თავიანთ მომხრეებს, სინამდვილეში კი მათი ასეთი ფართიფურთი საწინააღმდეგო შედეგის მომტანი იყო და, ფაქტია, ელექტორატის დიდ ნაწილი მათ წინააღმდეგ განაწყო.

პოლიტიკური კურიოზია, როცა ოპოზიციურმა ნაციონალური მოძრაობის პარტიამ მთლიანად გაიზიარა თავისი ლიდერის ეგოისტური, რევანშისტული აზრები და გადაწყვიტა, ქართველი ხალხი, მთელი მოსახლეობა რვა წლის განმალობაში დაეჯერებინა იმაში, რის დაჯერება ნორმალური ადამიანისთვის წარმოუდგენელი იყო. თავისი პარტიული ტელევეზიებით და ტელეწამყვანებით მთელ ქვეყანას უმტკიცებდა, რომ ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი რუსული პოლიტიკის გამტარებელია ქვეყანაში, პუტინის მეგობარია, არაფერი არ გაუკეთებია ქვეყნისათვის და სხვ. ამასთან, ყველა ამ ბრალდების დამამტკიცებელი ვერც ერთი ფაქტი ვერ მოჰყავდა, გარდა ერთისა, თურმე როგორ „ებრძვის“ ივანიშვილი ბუნებას, გამუდმებით აჩვენებდნენ ხეების გადარგვის სამუშაოებს და ერთხელაც თავისი ტელევიზიებით არ უჩვენებიათ, როგორი საოცარი დენდროპარკი გააშენა მან გურიაში ჭაობის ადგილას, რომელიც მათი ჯიბის ტელევიზიების გარეშეც მარტო ორ დღეში თითქმის ასი ათასმა კაცმა საკუთარი თვალით ნახა. ეს ერთი ნათელი მაგალითია იმისა, დღევანდელ დღეს თუ როგორი არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის სტრატეგია, რომელიც მხოლოდ დეზინფორმაციას, სიცრუეს და უზნეო საქციელს ეყრდნობა.

სწორედ ასეთი უგუნური პოლიტიკის შედეგია, როცა „ნაცმოძრაობამ“ ხალხის მიერ მხარდაჭერილ, მმართველი პარტიის ლიდერის (ექვსჯერ მოიგო ქვეყანაში სხვადასხვა არჩევნები), ბ-ნი ბ. ივანიშვილისთვის მოღვაწეობის ხანაში სახელის გატეხას ყოვლად უმომავლო მცდელობას თითქმის მთელი ოპოზიცია გადააყოლა, ხელი შეუწყო მის დეგრადაციას და მარგინალიზაციას და შანსიც არ დაუტოვა სხვა უფრო კონსტრუქციული, პროგრესული გზით ქვეყანში ახალი ოპოზიციის განვითარებას.

საკვირველია, რატომ ამტვრევს ღია კარს ოპოზიცია ახლა, როცა სწორედ ბ-ნ ბ. ივანიშვილის თაოსნობით შევიდა კონსტიტუციაში პროპორციული არჩევნების წესი, რითაც ჯერ კიდევ მაშინ მან მხარი დაუჭირა ქვეყნის კოალიციურ მმართველობაზე გადასვლას, რაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ უნდა განხორციელებულიყო, რა, ალბათ, სწორი იყო და, პირველ რიგში, ოპოზიციისთვის უნდა ყოფილიყო მისაღები.

მეტად საგულისხმოა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული ლიდერის, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის წინასაარჩევნო „სპიჩები“, რასაც ალბათ, ანალოგი არა აქვს საორატორო პრაქტიკაში. როცა იგი ილანძღება, თან თავი ჭკვიანი ჰგონია და ამბობს „საქართველოში დემოკრატია არ არის, დიქტატურაა, მთავრობა არალეგიტიმურია“ და ა.შ., ამავე დროს იქვე აცხადებს, რომ “ ოპოზიცია შემოდგომაზე ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში აუცილებლად გაიმარჯვებს“ — ცხადია, ამას კომენტარი არ სჭირდება. ხოლო, ამ სახის ყოვლად უაზრო განცხადებებს და „აბრაკადაბრას“, ვისზედაც არ უნდა იყოს გათვლილი, ზიანის გარდა არავითარი სარგებელი არ მოაქვს ოპოზიციისთვის, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.

როგორც ჩანს, ოპოზიციამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის შიგნით ვერ მიიღო რაიმე სახის უპირატესობა (რაზედაც მათი მცირერიცხოვანი შეკრებები მეტყველებს) და ძირითადად, იმედებს ქვეყნის გარეთ მეგობარ ქვეყნებზე ამყარებს და მთელ თავის რესურსს ხარჯავს იმაზე, რომ უცხოელ ლობისტების საშუალებით დაუმტკიცოს იმ ქვეყნების მთავრობებს, თითქოს საქართველოში ყველაფერი ცუდადაა, დემოკრატია არ არის, ქვეყანას პოლიტპატიმრები ჰყავს და ა.შ. ბოლო დროს ამაყობს და უხარია, აპიარებს იმ ფაქტს, რომ შეიძლება ამერიკის კონგრესმა საქართველოსთვის დახმარების სახით გამოყოფილი თანხა 15%-ით (20 მილ. აშშ დოლარი) შეამციროს, თუ ქვეყანა „დემოკრატიიული გარდაქმნებისთვის“ გარკვეულ პირობებს არ შეასრულებს.

ისე, თუ ფულზე მიდგა საქმე, ბ-ნი ბ.ივანიშვილი წლების განმავლობაში ასეულობით მილიონ დოლარს ახმარს ქვეყანას, მაგრამ ამის შესახებ ამერიკის კონგრესმენებისთვის არავის მოუხსენებია. უფრო მეტიც, ზოგიერთი ოპზიციონერი ვაი-პოლიტიკოსები ხშირად ჯგუფებად დადიან ამერიკაში და იხვეწებიან, იქნებ ივანიშვილს სანქციები დაუწესეთო, თურმე მარტო იმიტომ, რომ იგი ეხმარება თავის ქვეყანას, სხვანაირად მათ ამ მდაბიო საქციელს ახსნა არა აქვს. ამერიკას 563 მილიარდერი ჰყავს, მაგრამ იქ ეს არავის არ უკვირს, ხოლო ჩვენთან ოფიციალურად აღიარებული მილიარდერი მხოლოდ ერთია და იმის მაგვირად პატივი სცენ, მას ყოვლად უაზროდ ებრძვიან („არაფორმალური მმართველიაო“), ამტკიცებენ იმას, რისიც თვითონაც არ სჯერათ და ისიც არ იციან, რომ თანამედროვე ჩინეთი სწორედ პატრიოტმა, მდიდარმა, „ბიზნესხუაციოებმა“ დააყენეს ფეხზე და არა ნათელაშვილის და სამადაშვილის მსგავსმა პოლიტიკოსებმა.

ოპოზიცია ეტყობა, ახლაც მთელ იმედებს მაინც თავიანთ პარტიულ ტელევიზიებსა და ტელეწამყვანებზე ამყარებს. მაგრამ, აქაც აქვთ პრობლემები, რამდენადაც ბოლო დროს ქვეყანაში უკვე მაუწყებლობს ალტერნატიული აზრის ტელევეზიები, რომლებიც ეფექტურად ანეიტრალებენ ოპოზიციური ტელეარხებით გავრცელებულ სხვადასხვა სახის დეზინფორმაციას და „ფეიკ ნიუსებს“.

დაბოლოს, ოპოზიციას ყველა შეთხვევაში მაინც იმედი აქვს ელექტორატის იმ ნაწილის, რომელსაც არსებული ქვეყნის ხელისუფლება არ მოსწონს (რაც იშვიათი არ არის) და, როგორც პ.ზაქარეიშვილი ამბობს, „ხმას აძლევს ოპოზიციას იმიტომ კი არა, რომ ის მოსწონს, არამედ იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არ მოსწონს“, მაგრამ როგორია ასეთი ელექტორატის ხვედრითი წილი ქვეყნის საერთო ელექტორატში და როგორი პროპორციით განაწილდება ეს ხმები ოპოზიციურ პარტიებს შორის, ამას არჩევნები გვაჩვენებს. რაც შეეხება საერთოდ ქვეყანას არჩევნების შემდეგ, ფაქტია, იგი ახალი სინამდვილის წინაშე აღმოჩნდება და როგორი იქნება მომავალში, ამას უკვე დრო გვაჩვენებს.

მაგრამ ახლაც ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში ამ ახალი პოლიტიკური წყობის პირობებში (საპარლამენტო რესპუბლიკა, პროპორციული არჩევნები, დამოუკიდებელი სასამართლო), ყოველგვარ დესტრუქციულ პოლიტიკურ ძალებს და ავანტიურისტ პოლიტიკოსებს არავითარი შანსი არ ექნებათ, როდესმე მოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სათავეში.

გონდო ქოგულია,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„დიოსკურია“ მრავალეროვნულ სწავლებაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები უკრაინაში, მრავალეროვნულ სწავლებაში „Sea Breeze 2020“ მონაწილეობდნენ. სამინისტროს ინფორმაციით, საზღვაო წვრთნებში სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდი „დიოსკურია“ (P25) მონაწილეობდა.

ყოველწლიური საზღვაო სწავლება „Sea Breeze“ უკრაინისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორგანიზებით შავ ზღვაზე იმართება. მისი მიზანია მონაწილე ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება და რეგიონული საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი ერთობლივი შესაძლებლობების გაზრდა.

წელს ერთობლივ წვრთნებში 8 ქვეყნის: ბულგარეთის, საქართველოს, ნორვეგიის, რუმინეთის, ესპანეთის, თურქეთის, უკრაინისა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო დანაყოფების 2 ათასზე მეტი მოსამსახურე, 27 მცურავი საშუალება და 19 საფრენი აპარატი მონაწილეობდა.

კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, სწავლება წელს განსხვავებული ფორმატით ჩატარდა. ერთობლივი წვრთნები არ ითვალისწინებდა ეკიპაჟების უშუალო კონტაქტს და მოიცავდა მხოლოდ საზღვაო და საჰაერო კომპონენტებს.

ევრობანკი საქართველოს 90 მლნ ევრის გამოუყოფს

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის შეთანხმება გაფორმდა, რომელიც საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაძლიერებასა და გაუმჯობესების მიზნით, 90 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსის გამოყოფას ითვალისწინებს.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა და კავკასიაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონულმა დირექტორმა კატარინა ბიორლინ ჰანსენმა.

პროექტის მიხედვით დაგეგმილია ლაჯანური-წყალტუბოს 500 კვ 49 კმ-იანი ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა; ნამახვანი-წყალტუბოს და ნამახვანი-ტვიში-ლაჯანურის ერთჯაჭვა 220 კვ 58 კმ-იანი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა; ლაჯანურის ახალი ჰიდროელექტროსადგურის 220 კვ 5 კმ ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა; ნენსკრა-მესტიის 110 კვ 57 კმ-იანი ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, ასევე ნენსკრას 500/220/110 კვ ქვესადგურის მშენებლობა და წყალტუბოს ქვესადგურის გაფართოება; კავკასიონის 500 კვ ერთჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის შეჭრისა და ნენსკრას ქვესადგურის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურთან 220კვ დაკავშირების მშენებლობა.

პროექტს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განახორციელებს და მისი დასრულება 2026 წლის ზაფხულში იგეგმება.

კახა კალაძე დევნილთა 3500 ოჯახს ახალი ბინებით გაახარებს!

დედაქალაქის მთავრობის მორიგი სხდომის თვალსაწიერი

დედაქალაქის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.

როგორც მან აღნიშნა, დედაქალაქის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკა ბოლო პერიოდში საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან განხილვის საგნად იქცა, თუმცა მუნიციპალიტეტი მზად არის, ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცეს.

„მინდა კიდევ ერთხელ ვისაუბრო თბილისის მერიის სატრანსპორტო პოლიტიკაზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და ბოლო პერიოდში იქცა დიდი განხილვისა და მსჯელობის საგნად. არიან ადამიანები, რომლებიც გვაკრიტიკებენ, ასევე, არიან ადამიანები, რომლებსაც მოსწონთ ჩვენი ხედვა, როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში და არიან ისეთები, ვისაც ვერ გაუგიათ, რას ვაკეთებთ ამ მიმართულებით. ჩვენ მხოლოდ მივესალმებით საზოგადოების ჩართულობას, ინტერესს, არასდროს გავურბივართ კითხვებს და მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა შეკითხვას, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, გავცეთ ამომწურავი პასუხები.

სატრანსპორტო პოლიტიკაზე ბევრჯერ გვითქვამს ის, რომ რაც დღეს დედაქალაქში ხდება, ამის ასე გაგრძელება შეუძლებელია. შესაბამისად, წამოვიწყეთ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა, საზოგადოებას წარვუდგინეთ ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკა და ვაჩვენეთ, თუ რა მიმართულებით მივდივართ და რის გაკეთებას ვაპირებთ. სტატისტიკას თუ შევხედავთ, თბილისში დაახლოებით, 500 000 ავტომობილზე მეტი გადაადგილდება, ყოველწლიურად ახალი, შემოყვანილი ავტომანქანების რაოდენობა 5, 6 და 7%-ით იზრდება, რაც ერთი მხრივ, კარგია, რომ ადამიანებს შესაძლებლობა უჩნდებათ, ახალი ავტომობილი შეიძინონ. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ცუდია, რადგან ეს ქალაქი ავტომანქანების გარკვეულ რაოდენობას იტევს და უფრო მეტის შემთხვევაში, გადაადგილება შეუძლებელი იქნება! ასევე, ისმის კითხვა, თუ რატომ არ შეიძლება გზების გაფართოება? ეს მიუღებელია, რადგან პირდაპირ წახალისება გამოდის და ჩვენ არ გვაქვს ქალაქში იმის შესაძლებლობა, რომ ყველა გზა გაფართოვდეს და კერძო ავტომანქანებს მოერგოს. ეს დამღუპველი იქნება“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ოპონენტების მხრიდან საუბარი იმაზე, რომ თითქოს, დედაქალაქის მერია თბილისში კერძო ავტომანქანებს კრძალავს, არ არის სწორი. კახა კალაძის განმარტებით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება!

სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, თბილისის მერმა ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაციის დასკვნით სამუშაოებზეც ისაუბრა.

მისი თქმით, დახაზვის სამუშაოების დასრულების შემდეგ, ტრანსპორტის მოძრაობა წინასწარ დაანონსებულ სქემაზე გადაერთვება.

„დახაზვის სამუშაოების დასრულების შემდეგ, საპატრულო პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა შესაბამისი სამსახურის ჩართულობით, ჭავჭავაძის გამზირზე ტრანსპორტის ახალი სქემით მოძრაობა დაიწყება. ადაპტაციის პერიოდში მძღოლებს ყველანაირად დავეხმარებით. ამ პროექტის ფარგლებში, მხოლოდ ჭავჭავაძის გამზირს ნუ განვიხილავთ. ჭავჭავაძის გამზირი, ფალიაშვილისა და აბაშიძის ქუჩები ერთიანი სივრცეა. სქემის დამუშავებისას, ყველაფერი წინასწარ გათვლილია, რომ ამ მიმართულებით პრობლემები არ შეიქმნას და ტრანსპორტმა შეუფერხებლად იმოძრაოს,“ — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მოსახლეობას აცნობა, რომ 30 ივლისიდან სამი ღამის განმავლობაში (00:00-04:00 საათამდე), ჭავჭავაძის გამზირზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი იმუშავებს სატესტო რეჟიმში. აღნიშნულ საათებში, ჭავჭავაძის გამზირი, ვარაზის ხევიდან გ. წერეთლისა და თამარაშვილის ქუჩების კვეთამდე გადაიკეტება.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე დედაქალაქის მერმა კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ბინებით კიდევ 55 ოჯახი დაკმაყოფილდება.

„მინდა, შევეხო კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეების თემას. სულ 3 500 ოჯახი იყო 90-იანი წლებიდან მოყოლებული და ეს ვალი სახელმწიფოს აღიარებული აქვს, ჩვენ დავპირდით ამ ადამიანებს, რომ ამ პრობლემას მოვაგვარებდით. უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები, ბევრი ოჯახი უკვე საკუთარი ბინების მოლოდინშია, სადაც მშენებლობები მიმდინარეობს. ჩვენ გამოცხადებული გვქონდა ინტერესთა გამოხატვა 17 500 კვ. მ მიწის ნაკვეთზე, ზემო ფონიჭალაში და გვყავს უკვე გამარჯვებული შპს „პერსპექტივა“, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს დაზარალებული ოჯახები საცხოვრებელი ფართით თეთრი კარკასის მდგომარეობით.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ პროცესს თანმიმდევრულად მივყვებით. მომდევნო დღეების განმავლობაში კიდევ მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას, თუ რამდენი ოჯახი დაკმაყოფილდება.

თბილისის მერმა დაზარალებული ოჯახების ბინებით დაკმაყოფილების პროცესის რიგითობის კრიტერიუმიც განმარტა და აღნიშნა, რომ რიგითობის განმსაზღვრელი, რაოდენობიდან გამომდინარე, ოჯახების სოციალური ქულები იქნება.

„რიგითობას რაც შეეხება, აქაც მარტივი გამოსავალი ვნახეთ — სოციალური ქულების მიხედვით მივაწოდებთ ადამიანებს ბინებს. რადგან 3 500 ოჯახზეა საუბარი, შეუძლებელი იყო რიგითობის დადგენა. ამდენად, საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების თანმიმდევრობის განმსაზღვრელი სოციალური ქულებია“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მთავრობის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა კულტურის სფეროს ხელშეწყობაზეც.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, თბილისის მერია ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს და მუნიციპალიტეტმა კულტურის ბიუჯეტი გაზარდა.

„თბილისის მერიის პროექტების ფარგლებში, განხორციელდა ისეთი ფესტივალი როგორიცაა „არტ-გენი“, სუხიშვილების ახალი პროექტი „არტეფაქტები“, მუსიკალური პროექტი „გაითავისე ცა და ისუნთქე“, რომელიც წყნეთის ტყეში წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით, კულტურის ბიუჯეტი იზრდება, რათა ამ სფეროს ყველა მიმართულებას დავეხმაროთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა პროექტის „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში, მუსიკალური საღამოები დააანონსა.

„1 და 2 აგვისტოს, ვარკეთილის მესამე მიკრორაიონის ახლად რეაბილიტირებულ პარკში ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით 2 კონცერტი მოეწყობა. ასევე, გლდანის განახლებულ პარკში, მე-6 მიკრორაიონში, რომელიც გასულ წელს გავხსენით, 1 აგვისტოს მსმენელის წინაშე წარდგება თბილისის მერიის ბიგ-ბენდი. მუსიკალური საღამოები შემდეგ კვირას უკვე მზიურში, კიკვიძის პარკსა და გოძიაშვილის ბაღში გაიმართება,“ — აღნიშნა კახა კალაძემ.

ხვეული კიბის გასაჭირი

ლამის კარს მომდგარი საპარლამენტო არჩევნების წინ, როცა სახელმწიფო თუ მუნიციპალური, რაგინდ „არასამეთაურო“ რანგის ჩინოსნის ნებისმიერი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომა უმალ ხდება აგრესიული ოპოზიციის „საკბილო“, ხელისუფლების უკლებლივ ყველა წარმომადგენელს თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულება არა უბრალოდ „კარგად“, არამედ სრულფასოვან „ფრიადზე“ მართებს.

ზემონათქვამი საზოგადოებრივი საქმიანობის უკლებლივ ყველა სფეროს ეხება, მაგრამ, ვფიქრობ, არანაირ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სახელმწიფო მოხელეებს განსაკუთრებით დიდი გულისყურითა და სიფაქიზით კულტურული მემკვიდრეობის საკითხებისადმი მიდგომაც სჭირდება.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში თბილისის გულში, ვერის უბანში, ქიაჩელის ქუჩის №20 სახლის თაობაზე მოგახსენებთ, რომელსაც ამჟამად ოფიციალურად უკვე მინიჭებული აქვს „კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი“. ამ ისტორიულ შენობაში დაარსდა პირველი ქართული საბავშვო ბაღი, პირველი ქართული პოლიკლინიკა, აქვე ინახება (მსოფლიოში ოთხი შემორჩენილი პირველი ეგზემპლარიდან ერთ-ერთი!) **რენტგენის დანადგარი**. გარდა ამისა, ამ სახლის ერთ-ერთი ბინა სამუზეუმო ფუნქციითაა დატვირთული.

ყოველივე ზემოაღნიშნულს იმასაც თუ დავამატებთ, რომ ათწლეულების მანძილზე ვერის უბნის ამ მართლაც რომ გამორჩეულ სახლს უამრავი ჩვენი სასიქადულო თანამემამულე სწვევია და უცხოვრია კიდეც, კერძოდ, — ეროვნული კინემატოგრაფის მატიანის მშვენების, ერთერთ პირველ ქართულ მხატვრულ ფილმ „დარიკოში“ მთავარი როლის შემსრულებელი, ქალბატონი თამარ ციციშვილი სწორედ იმ სამუზეუმო ბინაში ცხოვრობდა, მისი ღირებულება ჩვენი დედაქალაქისთვის სრულიად თვალნათელი გახდება.

არადა, საკითხი, რომლითაც ამ მართლაც რომ ისტორიული სახლის მკვიდრნი თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობას მიმართავენ, ჩვენი აზრით, უმარტივესად გადასაჭრელია: საქმე ის გახლავთ, რომ სახლის შიდა ეზოს (რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის განუყოფელ არქიტექტურულ ნაწილს წარმოადგენს) ორი სიმეტრიული ხვეული კიბე აქვს, რომელთაგან ერთ-ერთი წლების განმავლობაში დიდად შეილახა და სასწრაფო შეკეთებარესტავრირებას მოითხოვს. ამჟამად კი ის სრულიად ავარიულ მდგომარეობაშია, რის გამოც მიმომსვლელთათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

მას შემდეგ, რაც სახლის მცხოვრებლებმა, შექმნილი ვითარების შესახებ მთაწმინდის რაიონის გამგეობას აცნობეს №38-011929441 განცხადებით, იქიდან უმალ... უარყოფითი პასუხი მიიღეს — განცხადების საკვანძო საკითხი ჩინოსნებმა განუსაზღვრელი ვადით გადადეს.

არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იქაური მცხოვრებლებისთვისაც და ვიზიტორებისთვისაც ავარიული კიბე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს... ხოლო, ღმერთმა დაიფაროს და იქ თუ რამე ტრაგედია მოხდა, მავანნი ისეთ გნიასს ატეხენ, რომლის მსგავსი არაერთგზის გვსმენია. თანაც ამ შემთხვევაში სავსებით მართლებიც იქნებიან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ერთობ საგულისხმო გარემოებაც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფოს (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის მხრივ) და იქაურ ბინადართა თუ იმათ სტუმართა უსაფრთხოების ინტერესები ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია, რაც, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი მომენტი გახლავთ. სწორედ ამის გამო იყო, რომ სახლის ბინადრები იძულებულნი გახდნენ, უშუალოდ თბილისის მერისთვის კახა კალაძისთვის მიემართათ. ამის შემდგომ კი თანადგომისთვის ჩვენი გაზეთის რედაქციასაც საგანგებო წერილი მოსწერეს!

სავსებით ვითვალისწინებთ თბილისის მერის, ბატონ კახა კალაძის უდიდეს დატვირთულობას, ამდენად ყველასთვის გასაგებია, რომ თავად მას ფიზიკური შესაძლებლობა არ აქვს, მსგავსი საკითხებით დაკავდეს, მაგრამ, ხომ არსებობს შესაბამისი არქიტექტურული (ურბანული) სამსახური, რომლის თანამშრომლების მოვალეობაა მსგავსი საკითხების ოპერატიულად გადაჭრა?

ამიტომაც, ვთხოვთ დედაქალაქის მერიას, რომ წინამდებარე წერილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ოფიციალურ მიმართვად განიხილოს.

ოთარ ტურაგელიძე

პანდემიის შემდგომ ტალღებსაც ეფექტურად ჩავახშობთ

მოცემული დროისთვის მდგომარეობა საქართველოში სტაბილურია. ჩვენთან ყოველდღიურად მხოლოდ ძალიან დაბალი რაოდენობის შემთხვევები აღირიცხება, ზოგიერთ დღეს კი, საერთოდ არც ერთი შემთხვევა არ ფიქსირდება – ამის შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ გერმანულ გამოცემა „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

„პანდემიის მიმდინარეობისას, ჩვენ თითქმის არ გვქონია შემთხვევა, როცა ვერ შევძელით ადამიანების ინფიცირების წყაროს მიგნება. ეს იქიდანაც გამომდინარეობს, რომ არ გვაქვს მოსახლეობის დიდი რაოდენობა. აქედან გამომდინარე, ძალიან მალე ვახერხებდით კონტაქტების შემთხვევების დადგენას, რაც ჩვენი წარმატებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი აღმოჩნდა. გერმანიის მსგავს ქვეყანაში, სადაც 83 მილიონი მოსახლეობა ცხოვრობს, ეს რა თქმა უნდა, ბევრად რთული იქნებოდა.

ახლა ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა შესაძლო მეორე, მესამე ან მეოთხე ტალღაც კი რაც შეიძლება სწრაფად ჩავახშოთ, ისევე, როგორც ეს პირველი ტალღის დროს მოვახერხეთ. დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენ მიერ შემუშავებულ კორონას აპლიკაციაზე, რომელიც გვიადვილებს კონტაქტების აღმოჩენას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა ადამიანი იყენებს ამ აპლიკაციას, ასე რომ გვიწევს კონტაქტების დადგენის სხვა ხერხების გამოყენებაც.

თუმცა, პარალელურად ვცდილობთ, დავარწმუნოთ რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რომ მათ ეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გამოიყენონ. მნიშვნელოვანია, გამჭვირვალედ ავუხსნათ მოსახლეობას, რომ შეიძლება მეორე ტალღა დადგეს, რომელიც უფრო მძიმედ ჩაივლის, ვიდრე პირველმა ტალღამ ჩაიარა. ჩვენთვის ეს სცენარი ცნობილია სხვა ინფექციური დაავადებების გავრცელების შემთხვევებიდან. თუ მოსახლეობა არ იქნება მზადყოფნაში, არც ერთი ღონისძიება არ იქნება საკმარისად ეფექტური“, – განაცხადა ეკატერინე ტიკარაძემ.

ევროკავშირი უსაფრთხო ქვეყნების სიას განაახლებს

ევროკავშირის ელჩები მიმდინარე კვირაში რეგულარულ კონსულტაციებს ატარებენ, რათა კიდევ ერთხელ განაახლონ უსაფრთხო ქვეყნების სია, რომელთაც საზღვრები 1 ივლისიდან გაუხსნა.

ბოლო განახლების შემდეგ, უსაფრთხო ქვეყნების სიიდან შესაძლოა ალჟირი, მაროკო, კანადა, ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა ამოიღონ.

გადაწყვეტილება 29 ივლისს გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, ეპიდემიოლოგიური ვითარების გამწვავების გამო ევროკავშირს 17 ივლისს უსაფრთხო ქვეყნების სიიდან სერბეთი და მონტენეგრო ამოიღო.

რუსეთს გონებით ვერ განსჯი!..

პანდემიის ჟამს საქართველოში რუსული დეზინფორმაციის 7 მიმართულება გამოავლინეს!

ანგარიშების სერიის „დეზინფომეტრის“ ფარგლებში „საქართველოს რეფორმების ასოციაციამ“ (GRASS) ორი ანგარიში გამოაქვეყნა. მათი მიზანია, დეზინფორმაციის გამავრცელებელი მედიების (როგორც ონლაინ, ისე „ფეისბუქის“ გვერდების) მთავარი გზავნილები და მათ დისკურსში არსებული ტენდენციები გამოკვეთოს. ანგარიშები ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაციის გზავნილებს მიმოიხილავს.

„დეზინფომეტრის“ მარტი-აპრილის საანგარიშო პერიოდი საქართველოში პრორუსული და ანტიდასავლური მედიის გზავნილებს ძირითადად კორონავირუსის პანდემიის კონტექსტში აანალიზებს. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე საქართველოში კრემლი და ანტიდასავლური და პრორუსული მედია COVID-19-სა და მასთან დაკავშირებულ თემატიკას პროპაგანდისტული მიზნებით, კერძოდ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და მისი მანიპულირება, საზოგადოებაში დაბნეულობისა და უთანხმოების, პოლარიზაციის გაღრმავება და ა.შ., აქტიურად იყენებდა.

„დეზინფომეტრის“ მარტი-აპრილის მონიტორინგის შედეგად შვიდი ძირითადი მიმართულება გამოვლინდა, რომელთა ფარგლებშიც ანტიდასავლური და პრორუსული დეზინფორმაცია მანიპულაციურ გზავნილებს ავრცელებდა:

NATO აგრესორია!

- NATO მსოფლიო პანდემიის ფონზეც აგრესიულად იქცევა და შავ ზღვაში წვრთნებს მართავს;
- პანდემიის დროს NATO-ს მიერ საქართველოს მიმართ ყურადღება და სამხედრო ალიანსის გემების ფოთის პორტში შემოსვლა იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს კი არ სჭირდება NATO, არამედ NATO იყენებს საქართველოს თავისი საჭიროებებისთვის.

აშშ-მა ვირუსი შექმნა და მას მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისთვის იყენებს!

- კორონავირუსი აშშ-ის მიერ ჩინეთთან სავაჭრო ომში გამარჯვებისთვის ხელოვნურად შექმნილი ბიოლოგიური იარაღია;
- უჰანში მყოფმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა კორონავირუსი ჩინეთში ჯერ კიდევ 2019 წლის ოქტომბერში გაავრცელეს;
- ვირუსი ამერიკელების მიერ შექმნილი „ბაქტერიოლოგიური იარაღია“ და ის იმ ქვეყნების წინააღმდეგ გამოიყენეს, რომლებიც, პენტაგონის დასკვნის თანახმად, აშშ-ისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, ესენია: საფრთხე №1 - ჩინეთი, საფრთხე №2 - რუსეთი და საფრთხე №3 – ირანი.

ევროკავშირი სუსტია და იშლება!

- ევროკავშირი იტალიას არ დაეხმარა და მიატოვა, ხოლო იტალიის მეგობრები მხოლოდ რუსეთი და ჩინეთი აღმოჩნდნენ;
- შენგენის ზონა აღარ არსებობს, რაც ევროკავშირის დაშლას ნიშნავს. ევროკავშირი ვერც პანდემიის შემდეგ აღდგება, ამიტომ საქართველო ევროკავშირსა და NATO-ში შესვლისკენ აღარ უნდა ისწრაფვოდეს;
- კორონავირუსის მიმართ ევროკავშირის უსუსურობის გამო, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობის დამოკიდებულება ევროკავშირთან მიმართებით ნეგატიური ხდება;
- რუსეთისა და ირანისთვის დაწესებული სანქციებით, ევროკავშირი ამ ქვეყნებს პანდემიასთან ბრძოლაში ხელს უშლის.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტურ-კომუნისტური სახელმწიფოების მოდელები უფრო ეფექტიანია

- საბჭოთა კავშირში ჰიგიენა დაცული იყო, ხოლო ჰომოსექსუალობა დაგმობილი, რაც პანდემიების გავრცელებას ხელს უშლიდა;
- ევროპის საგანმანათლებლო სისტემის სისუსტის გამო ევროპული სახელმწიფოები პანდემიას თავს ვერ ართმევენ, ხოლო საქართველო და პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მათ შორის რუსეთიც, საბჭოთა მედიცინის წყალობით, კორონავირუსს წარმატებით უმკლავდებიან;
- პანდემიის შეჩერებაში სოციალისტური და ჩინური მოდელი ეფექტიანია, ხოლო დასავლური, დემოკრატიული და კაპიტალისტური სისტემები წარუმატებელი აღმოჩნდა.

ლუგარის ცენტრი სახიფათოა!

- ლუგარის ცენტრში ამერიკის შეიარაღებული ძალების საიდუმლო ლაბორატორია მდებარეობს, რომელშიც საშიში პათოგენებისა და ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობენ;
- ლუგარის ლაბორატორიის ქართული ხელმძღვანელობა არაკომპეტენტურია და მას ვირუსთან დაკავშირებით რეალურ ინფორმაციას ამერიკული მხარე არ აწვდის.

ლიბერალები ეკლესიას უტევენ

- არასამთავრობო ორგანიზაციები კორონავირუსის გამოყენებით ეკლესიებში წირვა-ლოცვის აკრძალვასა და პატრიარქის დისკრედიტაციას ცდილობენ;
- დასავლეთი საქართველოს „ეკლესიასთან ბრძოლის“ სანაცვლოდ ეხმარება.
- მმართველ ლიბერალურ ელიტებს ანტიეკლესიური კურსი აქვთ და ეკლესიას ებრძვიან;
- მთავრობა აღდგომის შემდეგ მასობრივი ტესტირებების დაწყებას გეგმავდა, რათა ინფიცირებულთა გაზრდილი რიცხვი ეკლესიისთვის გადაებრალებინა;
- აღდგომის ღამეს 5G ანძების ტესტირება იგეგმებოდა, რაც ეკლესიაში მყოფი ადამიანების ჯანმრთელობას დააზიანებდა და ეს საბოლოოდ ეკლესიას დაბრალდებოდა.

დასავლეთი საქართველოს არ ეხმარება

- საქართველოს ევროპა და ამერიკა არ სჭირდება, რადგან მისი „სასიცოცხლო არტერია“ რუსეთზე გადის;
- კორონავირუსი გვაჩვენებს, რომ საქართველოს რუსეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.
- აშშ-ის დახმარება საქართველოსთვის მიზერულია;
- საქართველომ სამედიცინო დახმარება არა დასავლეთისგან, არამედ ჩინეთისგან მიიღო. ქართველ ექიმებს დახმარების იმედი რუსი კოლეგებისგანაც უნდა ჰქონდეთ.

„აქცენტი“

სენატი ტრილიონიან პაკეტზე მსჯელობს

შეერთებული შტატების სენატში რესპუბლიკელები განსახილველად ეკონომიკური სტიმულირების ახალ პაკეტს წარადგენენ.

კორონავირუსის პანდემიით დაზარალებული ქვეყნის მორიგი დახმარების ინიციატივა ტრილიონ დოლარს შეადგენს.

ყურადღების ცენტრში უმუშევრობის ფედერალური დახმარებაა, რომელსაც მილიონობით ამერიკელი იყენებს და რომელსაც ვადა ამ პარასკევს ეწურება. ახალი გეგმის მიხედვით, რესპუბლიკელები უმუშევრობის დახმარებას კიდევ გააგრძელებენ, მაგრამ ის მომავალში ხელფასის 70%-ით განისაზღვრება. აქამდე, შტატის მიერ გადახდილ უმუშევრობის დახმარებას ფედერალური მთავრობა კვირაში 4600-ს ამატებდა.

რესპუბლიკელები სენატში უმრავლესობაში არიან და მათი გეგმა დიდი ალბათობით დამტკიცდება, თუმცა წარმომადგენელთა პალატა დემოკრატების მიერ კონტროლდება და მხარეებს შორის ეკონომიკის სტიმულირების პაკეტთან დაკავშირებული წინააღმდეგობები ჯერ კიდევ დასაძლევია.

წარმომადგენელთა პალატის დემოკრატმა სპიკერმა ნენსი პელოსიმ, რესპუბლიკელებს ბრალი დასდო იმაში, რომ ისინი დახმარებას აგვიანებენ. რესპუბლიკელების რიგებში „არეულობაა, და ეს დაგვიანება ამერიკულ ოჯახებს აზარალებს“ – განაცხადა კვირას პელოსიმ.

დემოკრატების მიერ დაახლოებით ორი თვის წინ წარდგენილი ეკონომიკური პაკეტი გაცილებით ხელგაშლილი, 3 ტრილიონი დოლარის ოდენობის იყო. სენატის უმრავლესობის რესპუბლიკელი ლიდერი მიტჩ მაკკონელი იმედს გამოთქვამს, რომ მათ შორის შეთანხმება შემდეგი 2-3 კვირის მანძილზე მოხდება.

„სამშობლო ან სიკვდილი!“

ასე იტყოდა ერნესტო ჩე გევარა

ქართულად გადმოაქენა
გურამ გოგიაშვილმა

მოგვმშვიდობება

კომანდანტე ერნესტო ჩე გევარა
ჰავანა, 1961 წლის 15 თებერვალი
დოქტორ ფერნანდო გარალუგას (ბუდაპეშტი)
ძვირფასო ფერნანდო,

რა საწყენია, რომ თუნდაც ერთი წუთითაც ვერ მოვახერხეთ შეხვედრა. გწერ ძალიან სწრაფად და მოკლედ, რადგან სხვა საშუალება არა მაქვს; ვიმედოვნებ, აუცილებლად გამიგებ. ნიშანდობლივ, თუმცა შენს წერილში ამაზე არ წერ, მაგრამ წინა წერილიდან შევიტყვე, აქ ჩამოსვლასა და ამ ადგილებში შრომას ეპირები.

მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სამუშაო შენთვისაც და შენი ცოლისთვისაც აქ არის. ხელფასი ღირსეული იქნება, თუმცაღა ვერ იფუფუნებ. კუბის რევოლუციის გამოცდილება ძალიან საყურადღებოა იმ ადამიანთათვის, ვინც შენსავით ახალ ცხოვრებას უნდა შეუდგეს იმ ქვეყანაში, საიდანაც წარმოშობით არიან. შენი ბერდიაცის წამოყვანა შეგიძლია, სამუშაოსთვის შესაფერისი პირობები გექნება.

რა თქმა უნდა, აქ ბევრ რასმე გაუგებარს წააწყდები უნგრეთთან შედარებით, რადგან რევოლუცია ყოველსავე ამოძრავებს და აყირამალავებს, რის გამოც აუცილებელია სუყველასთვის შესაფერისი ადგილის მიჩენა, სადაც ის მეტ სარგებელს მოიტანს. მნიშვნელოვანია, რომ არცვინ ხელი არ შეუშალოს შრომაში მეორეს.

ვაჯამებ: აქ როგორც საკუთარ სახლში, ისე იქნები. თუ ამოსვლას გადაწყვეტ, გამაფრთხილე და ამიხსენი, როგორ წარმოგიდგენია ცოლ-ქმრის დაპატიჟების ჩვეულებრივი პრაქტიკა?

ვინაიდან ჩვენ დიდხანს ვიარეთ სხვადასხვა გზით, გაცნობებ, რომ დაოჯახებული ვარ, მყავს ორი ქალიშვილი, ჩემი ბერდიაცი (დედა-ჩემი) რამდენიმე თვის წინათ აქ იყო.

შენი მეგობარი გეხვევი ძმურად

ერნესტო ჩე გევარა

ჰავანა, 1962 წლის 19 ნოემბერი

ანა ლუიზა სტრონგელს (პეკინი)
პატივცემულო ამხანაგო,

მივიღე 10 სექტემბერს გამოგზავნილი თქვენი წერილი.

ვიზიარებ თქვენს პრობლემებს.. თავის დროზე კუბაში დაგპატიჟეთ, რათა სიხარულით შეგხვედროდით იქ, რათა „გასცნობოდით“ ჩვენს რევოლუციას. არა, არ ჩაგამკვლელდებით, რომ გინდა თუ არა, რამე დაწერო ჩვენს რევოლუციაზე, თუმცა, ვფიქრობ, თქვენი აზრი თქვენსავე კვალიფიკაციაზე ზედმეტია.

წერილს თან ვურთავ კომუნებზე თქვენი წიგნის თარგმანის რამდენიმე ცალს. წიგნს კუბაში დიდი წარმატება ხვდა.

დღეს კუბა მუდმივი განგაშის პირობებში ცხოვრობს. ხალხი საბრძოლო მზადყოფნაშია და აგრესიას ელოდება. არცვის თავში აზრადაც არ მოსდის თუნდაც ერთი ნაბიჯით უკან დახევა. ყველანი მზად არიან თავიანთი მოვალეობის აღსასრულებლად. თუ ჩვენ დავიღუპეთ, ჩვენი კუნძულის სუყოველ კუთხე-კუნჭულში წაიკითხავენ თქვენს გზავნილთ, თერმოპილეში დარჩენილთა მსგავსთ. ერთი სიტყვით, თქვენი ბოლო აქტისთვის რეპეტიციას არ გავდივართ, ჩვენ ძალიან გვიყვარს სიცოცხლე და დავიცავთ კიდეც.

მიიღეთ დიდი რევოლუციური მოკითხვა თქვენი მეგობრისგან.

კომანდანტე ერნესტო ჩე გევარა
სამშობლო ან სიკვდილი!
ჩვენ გავიმარჯვებთ!

ჰავანა, 1964 წლის 23 მაისი
დოქტორ ალეიდა კოტო მარტინესს
ჩემო ძვირფასო ამხანაგო, მადლობა გზავნილისთვის...

ხანისად ჩვენ, რევოლუციონერები, მარტოობას ვგრძნობთ. ხანისად ჩვენი შვილები როგორც უცხოელთ, ისე გვიყურებენ. ისინი ჩვენ უფრო იშვიათად გვხედავენ, ვიდრე „ბიძიად“ სახელდებულ მავან გუშაგს.

თქვენ მიერ გამოგზავნილმა თხზულებებმა წუთიერად იმ დროებაში დამაბრუნეს, ოდეს ჩვენ, მეორე და მესამეკლასელები, თხზულებებს ვთხზავდით ჩვენს ქალაქში პრეზიდენტის ჩამოსვლისა გამო, და სხვაობა იმ ბავშვების თხზულებებში გამოხატულ აზრსა და იმას შორის, რაც ახლანდელი რევოლუციის ბავშვების თხზულებებში აზრია, ჩვენში ხვალინდელი დღის რწმენას განამტკიცებს.

რევოლუციური მოკითხვით
კომანდანტე ერნესტო ჩე გევარა

წერილი არმანდო ხარტ დავალოსს (გატისტას რეჟიმის წინააღმდეგ თანამებრძოლს, 1960-1965 წლებში კულტურის მონისტრს).

დარ-ეს-სალამი, 1965 წლის 4 დეკემბერი

ძვირფასო ჩემო მდივანო,

გილოცავ გაღმრთობის საშუალებას: ექვსი დღე კი გაქვს ამისთვის. სანამ დაამთავრებდე შენს შესაქმეს და დაისვენებდე, უნდა გაგაცნო მთლიანად ჩვენი ხალხისა და ჩვენი ავანგარდის კულტურასთან დაკავშირებით ზოგიერთი იდეა.

დიდი არდადეგების ჟამს ფილოსოფიას მივუცუცქდი, რასაც წინათვე ვაპირებდი. პირველი სიძნელე ის არის, რომ კუბაში არცრა გამოქვეყნებული არ არის, თუ საბჭოთა აგურთ გამოვრიცხავთ, რადგან პარტიამ ეს შენ მაგივრად უკვე მოახელსაქმა – გადახარშა. ეს წიგნები უბრალოდ უვარგისია. მეორე სიძნელე ის არის, რომ ფილოსოფიური ენა არ ვიცი. ამიტომაც მეცადინეობის დიდი გეგმა შევადგინე, რაც, როგორც მე წარმომიდგენია, შეიძლება რომ გაანალიზდეს და გაუკეთესდეს, რა არის აზროვნების ჭეშმარიტ სკოლას ჩაეყაროს საფუძვლები; უკვე ბევრი რამ მოვახელსაქმეთ, მაგრამ ადრე თუ გვიან, ნაქნარის გააზრება მოგვიწევს.

აი, ჩემი გეგმა:

– ფილოსოფიის კლასიკოსები;
– დიდი დიალექტიკოსები და მატერიალისტები;
– თანამედროვე ფილოსოფოსები;
– პოლიტეკონომიის კლასიკოსები და წინამორბედნი;
– მარქსი და მარქსისტული აზროვნება;
– სოციალისტური მშენებლობა;
– ერეტიკული და კაპიტალისტური ავტორები;
– პოლემიკა.

სუყოველი ზემოთ ჩამოთვლილი სერია ავტონომიურია მომდევნოს მიმართ და შეიძლება, განვითარება შემდეგნაირად.

1. ვიღებთ ესპანურად უკვე გადმოენებულ საერთოდ ცნობილ კლასიკოსთა ნაშრომებს, წარუმძღვარებთ მავანი ფილოსოფოსის საფუძვლიან კვლევას და მოზრდილ ახსნა-განმარტებას, ცნობარს. აქვე ქვეყნდება ფილოსოფიურ ტერმინთა სიტყვისკონა, აგრეთვე ფილოსოფიის მოკლე ისტორია, შესაძლებელია, დინიკისა და ჰეგელისა. თვითონ პუბლიკაცია უნდა დავიწყოთ დიდ მოაზროვნეთა ერთი ან ორი წიგნით და მოვიდეთ ჩვენს დრომდე, მერე კი მივუბრუნდეთ სათავეებს, ვაქვეყნებთ ნაკლებად ცნობილ ფილოსოფოსთა ნაშრომებს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით – და აგრეთვე დიდთავე ნაკლებად ცნობილ ნაშრომებს.

2. აქ შეიძლება, რომ იმავე გზას გავუყვეთ, გავიმეოროთ ანტიკურ ფილოსოფოსთა ზოგიერთი ტექსტი. ცოტა ხნის წინათ გავეცანი ერთ არგენტინულ გამოცემას, სადაც დაბეჭდილია დემოკრიტე, ჰერაკლიტე და ლევკიპე.

3. მეტად ცნობილ თანამედროვე ფილოსოფოსთა გამოქვეყნებულ ნაშრომებს უნდა ახლდეს გაგებულ ავტორთა (არა კუბელთა) საგულდაგულო კვლევები შესაბამისი კრიტიკით.

4. ეს ერთადერთი რამ არის, რაც უკვე კეთდება იმისდა მიუხედავად, რომ გადმოენებული არ არის მარქსის ზოგიერთი ფუნდამენტური ნაშრომი. ამ სერიაში აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის სუყველა თხზულებათა კრებული.

5. სოციალისტური მშენებლობა. აქ უნდა იყვეს ნიშანდობლივი პრობლემებისადმი მიძღვნილი წიგნები, რომლებიც შედგენილი იქნება არა მარტო დღევანდელი, არამედ გუშინდელი ფილოსოფოსების, მეტადრე ეკონომისტებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა შრომებით.

6. აქ თავსდება რევიზიონიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ნაშრომები, რომლებიც ყოვლის უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებენ, და აუცილებლად უნდა იყვეს შენი მეგობარი ტროცკიც... აუცილებელია აგრეთვე, რომ იქვე წარმოვადგინოთ კაპიტალიზმის ისეთი თვალსაჩინო ბურჟუაზიული თეორეტიკოსები, როგორებიც მარშალი, კეინსი და შუმპეტერი არიან. ამათი შრომები ყოველმხრივ უნდა გაანალიზდეს და პასუხი გაეცეს სუყოველ „რატომ“-ს.

7. თუ სახელწოდებიდან გამოვალთ (ზწდუქშსფთ), ეს სერია ყოვლის უფრო პოლემიკურია. მარქსისტული აზროვნება სწორედ ასე ვითარდებოდა. პრუდონმა დაწერა სიღატაკის ფილოსოფიაზე, მაგრამ ის დღეს მხოლოდ „ფილოსოფიის სიღატაკით“ გვახსოვს. კრიტიკული გამოცემა დაგვეხმარება თვითონ ეპოქისა და მარქსიზმის გაგებაში, რაც იმჟამად კიდევ არ იყო მოწიფული.

მხოლოდ ახლაღა აღმოვაჩინე, რომ ერთ სერიაზე სულ დამავიწყდა რისამე თქმა. მე-4 სერია უნდა შეადგინოს პოლიტეკონომიისა და წინამორბედთა ნაშრომებმა ფიზიოკრატთა შრომებით დაწყებული (ადამ სმიტი და ა.შ.).

ლაპარაკია ძალიან დიდ შრომაზე, ოღონდ არ ვიცი, უნდა ითქვას თუ არა, რომ კუბა ამას იმსახურებს. მაშასადამე, შეიძლება ამის ცდა. აღარ დაგღლი ამ ლაქლაქით. სწორედ შენ გწერ, რადგან ცუდად ვიცნობ „აწინდელი“ იდეოლოგიისთვის პასუხისმგებელთ და იქნებ გაუფრთხილებლობა იყვეს იმათზე წერა სხვა მოსაზრებით. კარგი, ღირსადქებულო კოლეგავ (ფილოსოფიის ხაზით), გისურვებ დიდ წარმატებას. ვიმედოვნებ, შევხვდებით „მეშვიდე დღის“ დასასრულ. ვეხვევი ყველას, ვინც ამას იმსახურებს...

ჰავანა, 1965 წლის 1 აპრილი

წერილი ფიდელ კასტროს

ახლა ბევრ რასმე ვიხსენებ: იმას, თუ როგორ გაგიცანი მარია-ანტონიას სახლში, იმას, როგორ შემომთავაზე ჩამოსვლა, აგრეთვე მომზადების სიძნელეებზე.

ერთხელ მოხვედით და იკითხეთ: „ვის უნდა ვაცნობოთ თქვენი სიკვდილის შემთხვევაში, და ვითომ ყველანი დავიღუპებითო?“ მაშინ, რა თქმა უნდა, მიგვაჩნდა, რომ რევოლუციიდან ან გამარჯვებულნი გამოვდივართ ან მკვდრები. ჩვენი გამარჯვების გზაზე ბევრი ამხანაგი ჩამოგვცილდა.

ამას ყველაფერს ჩემთვის მაინცდამაინც ტრაგიკული ტონი არ ახლავს, რამეთუ უფრო გავიზარდენით, თუმცაღა მოვლენები მეორდება. ვგრძნობ, რომ ჩემი მოვალეობის ნაწილი შევასრულე, რა მოვალეობაც მაკავშირებდა კუბის რევოლუციასთან კუბისავე მიწა-წყალზე, გემშვიდობებით შენც, ჩვენს ამხანაგებსაც, შენს ხალხსაც, რომელიც აგრეთვე ჩემი ხალხიც გახდა.

მე ფორმალურად უკვე განვუდექი ჩემს თანამდებობებს პარტიულ მმართველობაში, მინისტრის სავარძელს, მეთაურის ჩინს, აგრეთვე ჩემს კუბურ არსს, რაობას.

არცრა კანონიერი არ მაკავშირებს კუბასთან, თუ არა სულ სხვა კავშირები, რომელთაც ვერ გავწყვეტ, როგორც ვერ გავწყვეტ ჩემს თანამდებობრივ კავშირებს.

უკან რომ ვიყურები, განვლილ წლებს რომ გავყურებ, ვფიქრობ, კეთილსინდისიერად და თავგანწირვით ვიშრომე, რათა განმემტკიცებინა რევოლუციური გამარჯვება.

მართლაც ჩინებული დღეები ვიცხოვრე და ვგრძნობდი, რომ ამაყი ვიყავი შენ გვერდით ყოფნით, რომ ვეკუთვნოდი შენს ხალხს კარიბის კრიზისის კანთიელ და ნაღვლიან დღეებში.

მსოფლიოს სხვა ქვეყნები უხმობენ ჩემს მოკრძალებულ ძალებს დასახმარებლად. მე იმის ქმნა შემიძლია, რასაც შენ ვერ იზამ კუბის წინაშე შენი პასუხისმგებლობისდა გამო, და ჩვენ აუცილებლად გავიყრებით.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №83-84, 87-91

ასლან ბჟანია „მშვიდობის მტრედი?!“

ავადმოსაგონარი 8 აგვისტოსთან დაკავშირებით

ახლახან სააგენტო „ინტერფაქსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აფხაზეთის პრეზიდენტმა ასლან ბჟანიამ განაცხადა: „ჩვენ არ მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან აფხაზეთის სახელმწიფოს აღიარებას, მაგრამ ვთვლით, რომ ხელშეკრულება ძალის გამოუყენებლობის შესახებ გზას გაუხსნის დიალოგს ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, სხვა საკითხებში“.

ბჟანიამ აღნიშნა, რომ „აფხაზეთი დაგულისყურებულია საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობებით, მაგრამ პრობლემა აფხაზეთში არ არის. ჩვენ ვაღიარებთ საქართველოს სახელმწიფოს. სხვა ამბავია, რომ ჩვენ არ გვაღიარებენ. არ ვიცი, რას მოიტანს ასეთი პოლიტიკა. ვფიქრობ, ეს არის არაკონსტრუქციული“.

აფხაზეთის პრეზიდენტის განცხადებას მოჰყვა ქართველი ექსპერტების შეფასებაც – „რიტუალური ჟესტი“. მათი აზრით, არსებულ ვითარებაში წარმოუდგენელია საუბარი ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე. ამ ორი მოსაზრების გაცნობისთანავე უდავოდ გაჩნდება კითხვები – რატომ არის წარმოუდგენელი არსებულ ვითარებაში ხელშეკრულების გაფორმებაზე საუბარი და ვინ უნდა შეცვალოს ის ვითარება, რომელიც არსებობს?

პასუხი ორივეზე არის მარტივიც და რთულიც. მარტივი, ყველაფერს შეიცავს – ძნელსაც, მიუღებელსაც, საკუთარ „მეზე“ მაღლა დადგომასაც, პიროვნული ამბიციების გადალახვასაც, ქვეყნისთვის სასიკეთო ნაბიჯის გადადგმასაც და მრავალ სხვას, რომელიც მოჰყვება ურთიერთობის დათბობას.

რაც შეეხება რთულს – რთულია და მორჩა, ვინაიდან ამ თემაზე ლაპარაკი ნიშნავს აფხაზეთის სახელმწიფოს ცნობას, მის დამოუკიდებლობას.

ასეთ შეფასებას იძლევიან აქაური პოლიტიკოსები და ექსპერტები, რომლებსაც აღნიშნულის თაობაზე არაერთხელ უსაუბრიათ. ეს ხომ არ იყო საფუძველი იმისა, რაც ბჟანიამ განაცხადა? „ჩვენ არ მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისგან აფხაზეთის სახელმწიფოს აღიარებას“. განაცხადა და „სერიოზული“ საყრდენი, რომელზეც აქაური ექსპერტობა საკუთარი პოზიციის ურყეობას უკავშირებდა, ხელიდან გამოაცალა.

მოკლედ და კონკრეტულად, ბჟანია არ მოითხოვს აფხაზეთის სახელმწიფოს აღიარებას. ის გვთხოვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას, რითაც საერთაშორისო საზოგადოების თვალში „მშვიდობის მტრედის“ სახელის მოხვეჭას ცდილობს.

მართალია, ამ გზით საქართველოს დასავლელი პარტნიორების გულს ვერ გაალღობს – ასე ფიქრობს ჩვენი ხელისუფლება და ოპოზიცია, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება ხვალ?

საქართველოს კარგად უნდა ახსოვდეს 2008 წლის აგვისტოს ომის პერიპეტიები და რაც მთავარია, ომის გამოწვევის მიზეზები, ამ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის სპეცკომისიის დასკვნა, გაეროს ნეგატიური (ჩვენთვის) დოკუმენტი, სადაც ომის მოთავედ საქართველოა მოხსენიებული – აკრძალული კასეტური იარაღის, ქვეყნის შიდა პრობლემების მოსაგვარებლად სამხედრო ძალის გამოყენება და სხვა. აღნიშნულით დასავლეთმა უკვე დაგვანახა თავისი თავი. ასე რომ, დიდი იმედის მასზე დამყარება სარისკოდ მოჩანს.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ, რომ ქვეყნებს შორის არის საკითხები, რომელთა გადაჭრა სწრაფად უნდა მოგვარდეს. გაჭიანურება საქმეს არ უხდება, თან ახალი პრობლემების გაჩენის საწინდარი ხდება და არის საკითხები, რომელთა სწრაფი გადაჭრა შეუძლებელია. უმეტესად მაშინ, როდესაც საკამათო საკითხები სწრაფად არ გვარდება და მარადისობაში გადადის.

მაგალითად ისევ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის საკითხებიც კმარა. საქართველოს პრეზიდენტს სააკაშვილს, რომ თანხმობა განეცხადებინა სეპარატისტულად განწყობილ ავტონომიებთან, საქართველოს შემადგენლობაში მათი სტატუსის განსასაზღვრად მოლაპარაკებების დაწყება (ეს პუნქტი ჩაწერილი იყო მედვედევ-სარკოზის შეთანხმებაში), რუსეთი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებდა. მოლაპარაკებები დაიწყებოდა და შესაძლოა, დღემდე გაგრძელებულიყო – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნით.

სააკაშვილმა საქართველოსთვის დამღუპველი გზა აირჩია, ანუ უარი მოლაპარაკებებზე და საკუთარი ხელით ხაზი გადაუსვა მოლაპარაკებების დაწყების შემცველ პუნქტს. ეს, იყო ზედიზედ მეორე უხეში შეცდომა, ღალატის ტოლფასი, დაშვებული ერთიმეორის მიყოლებით ცხელი აგვისტოს დღეებში.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სტრატეგიული პარტნიორების მიერ, მათ შორის გაეროს, აღიარებულია აგრესორი ანუ ომის დამწყები. ეს სააკაშვილის რეჟიმია. დუკუმენტზე საკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ ხელი მოწერილი, მაგრამ იგივენი, უტიფრად, ქვეყნის მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრით, დღიდან საკუთარი აღიარებისა, მუდმივად ამტკიცებენ საწინააღმდეგოს – ომი რუსეთმა დაიწყო და არა სააკაშვილმა.

გააჩინეს სხვა ვერსიაც – სააკაშვილმა ვერ გამოიჩინა თავშეკავება და რუსულ პროვოკაციას წამოეგო; რომ რუსეთი წლების განმავლობაში გეგმავდა საქართველოში შემოჭრას, რასაც ხელი შეუწყო სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის, სუსტმა პოლიტიკურმა ალღომ.

პოსტსაბჭოთა სივრცე მთლად დამშვიდებული ვითარებით ნამდვილად არ გამოირჩევა. მაგალითები ბევრია – მთიანი ყარაბახის, დნესტრისპირეთის, უკრაინის, ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ერთმანეთთან დაპირისპირების სახით, მაგრამ ვერც ერთ მათგანში რუსული აგრესია, შეჭრის სახით არ შეინიშნება, რაღა მაინცდამაინც საქართველო ამოიღო ნიშანში „მზაკვარმა“ რუსეთმა, რომლის იმჟამინდელ ახალ პრეზიდენტს მედვედევს უამრავი თავსატეხი პრობლემა ჰქონდა გადასაჭრელი? გარდა ამისა, დამოუკიდებლობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს 1991 წლის დეკემბერში კრემლმა არ არგუნა?

დასავლეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარების მსურველი რუსეთის ხელისუფლება, ახალი პრეზიდენტის სახით, თავის მოღვაწეობას ომით იწყებს? „ომის პრეზიდენტის“ „ტიტული“ რომ აშკარად შეუფერებელი იყო მედვედევის პიროვნებასთან, პოლიტიკაში ჩახედულთათვის ხომ ცნობილი ფაქტია?!

ეს აქაც კარგად იცოდნენ და ამიტომაც ომის წამომწყებად პრემიერ-მინისტრი პუტინი გამოაცხადეს – პოლიტიკური ფიგურა, რომელსაც მაღალი თანამდებობა კი ეკავა, მაგრამ არა ისეთი, რომელსაც ომის დაწყება შეეძლო. ასეთი იყო და არის ქვეყნის პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. დავუმატოთ ამას პუტინის პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე ყოფნაც და მედვედევის მასთან სატელეფონო კავშირის, მხოლოდ ომის დაწყების შემდეგ დამყარება.

„ჩვენ ისეთი ხელისუფლებაც გვყოლია, რომელმაც თავისი უგუნურებით ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ქვეყნისთვის უმძიმესი კრიზისი აეცილებინა, რაც სავსებით შესაძლებელი იყო და არათუ დაიცვა მოსახლეობა განსაცდელისგან, არამედ ბედის ანაბარა მიატოვა“, – ეს სიტყვები სულ ახლახან **ბიძინა ივანიშვილმა** წარმოთქვა.

კომენტარი ზედმეტია, მაგრამ მაინც ...

ეს დიპლომატიური წინადადება – „ქვეყნისთვის უმძიმესი კრიზისი აეცილებინა“ – ძალიან რბილად ნათქვამია და ერთობ განსხვავებული მისივე პირდაპირი ნათქვამისგან – „ომი სააკაშვილმა დაიწყო“. ალბათ მთელი აბზაცის შინაარსი მოითხოვდა შერბილებულ წინადადებას, თორემ ომის გამჩაღებლის ვინაობა ხომ ყველასთვის ცნობილია?! ცნობილია და მერე რა?

ომის გამჩაღებელი მშვენივრად გრძნობს თავს. დასეირნობს ქვეყნიდან ქვეყანაში, ამჯერად უკრაინაში ჩაუშვა ღუზა, ცხადია, დროებით და ახალი ავანტიურისთვის ემზადება – საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ არის კი საქართველო, მისი სამშობლო? ეჭვი მეპარება და არა მარტო მე, სხვასაც. მისი სამშობლო იქაა, სადაც კარგად მოძოვს, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. საქართველო მისთვის და მისნაირებისთვის ის მეწველი ძროხა იყო და არის, რომლის ცურსაც ვერაფრით მოშორდებიან.

დანაშაული, რომელიც მათ ჩაიდინეს ძვირად დაუჯდა ქვეყანას – ახალგაზრდათა ხოცვით, რომელთა სიცოცხლეც აღარ დაბრუნდება და დაკარგული ტერიტორიებით, რომელთა დაბრუნება ლამის უტოპიას უკავშირდება. ასეთს (ასეთებს) ტანსაცმლის ყიდვაში გაფლანგული ფულის გამო კი არ უნდა ასამართლებდნენ, სამშობლოს ღალატისთვის. მისი ადგილი უკრაინა კი არ უნდა იყოს, არამედ ციხე.

მისი თანამებრძოლები პარლამენტში კი არ უნდა ქმნიდნენ ქარიშხალს, არამედ ციხეში უნდა ისხდნენ, ისე, როგორც თავის დროზე არგენტინელი გენერლები, რომლებმაც ომი გააჩაღეს ინგლისის წინააღმდეგ ფოლკლენდის კუნძულებისთვის. მაგრამ იქ არგენტინელი ხალხი აღმოჩნდა თავის სიმაღლეზე. მათ ბუენოს-აირესში ცეკვა-თამაში არ გაუმართავთ პარლამენტის შენობის წინ, საკუთარი ხელისუფლების მხარდასაჭერად და აგრესორი ინგლისის დასაგმობად, ხალხმა საკუთარი ხელისუფლების გადადგომა და დასჯა მოითხოვა და გააკეთა კიდეც. ჩვენ? ჩვენ დღესაც გვეხამუშება სიმართლის თქმა.

ამას წინათ ერთი ყმაწვილი „ჭკუას მარიგებდა“ – მიუხედავად იმისა, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ, მაინც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთმა დაიწყოო, ასე მოითხოვს პატრიოტობაო. არა მეგობრებო, პატრიოტობა მოითხოვს სიმართლეს და არა სიცრუეს. რა ფასი აქვს იმ ცრუ „სიმართლეს“, რომელიც ყველამ ვიცით, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებამ?

ბჟანიას ნათქვამი, ჩვენი ექსპერტების შეფასებით „რიტუალური ჟესტი“, ყურს სიამოვნებს. მსგავსი, მის არც ერთ წინაამორბედს არ უთქვამს. იქნებ, ჩვენც გაგვეჟღერებინა ანალოგიური „რიტუალური ჟესტი“? რიტუალური გამონათქვამისთვის ჯერ არავინ დასჯილა. იქნებ ასეთით მათი გული მოგვეგო და თუ ამას ექნებოდა ადგილი, „რიტუალურიდან“, რეალურში გადასვლაც გვეხილა?

მარტო იმის ძახილი, რომ „აღვადგენთ მიწა-წყლის მთლიანობას“ – არაფრის მომტანია. საყურადღებოა, რას გულისხმობენ პოლიტიკოსები „მიწა-წყალის მთლიანობის“ აღდგენაში? მიწა-წყალი თავისით გამთლიანდება თუ ხელის შეშველებით?

ისტორიის მიხედვით, „თავისით“ გამთლიანებული მიწა-წყალი უცნობია. ისტორიამ იცის, რომ ომით დაკარგული, ომით ბრუნდება, რაც უმოკლესი გზაა, მაგრამ სარისკო, მით უმეტეს, ჩვენთვის. ძალისმიერი გზით დაკარგულის დაბრუნება შეუძლებელია, ამის საშუალებას არც ჩვენი შეიარაღებული ძალების „სიძლიერე“ მოგვცემს, არც მეზობელი რუსეთი და არც დასავლელი პარტნიორები. გვრჩება ერთადერთი გზა – დიპლომატიური მოლაპარაკება – ხანგრძლივი, მძიმე პროცესი და ბოლომდე გასვლამდე, ყველა დარგში, კავშირურთიერთობების აღდგენა-დამყარება, რომელიც გააჩენს საერთო მიზნებს; შორეულად გადაქცეულ სოხუმსა და ცხინვალს დაგვაახლოებს, მათთვის კი თბილისი ისეთ ქალაქად გადაიქცევა, სადაც თავისუფლად ჩამოესვლებათ. ღირს თუ არა ამისთვის ბჟანიას წინადადების გაზიარება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით?

უდავოდ, ღირს. ამისთვის ვირტუალურ აზროვნებას უნდა შევეშვათ, იმაზე ფიქრსაც, რომ დასავლელი პარტნიორები დაგვიბრუნებენ დაკარგულს. ვიფიქროთ რეალურად, ვინაიდან თითოეული გასული წელი, ჩვენს ხალხებს შორის არსებული უფსკრულის კიდევ უფრო გაღრმავების წელია და არა პირიქით. ვიფიქროთ იმაზე, რომ ყოველი წლის 8 აგვისტო მარტო გლოვის დღე არ იყოს. ის, რაც მოხდა ძნელი დასავიწყებელია, მით უმეტეს მისატევებელი, მაგრამ ვეცადოთ მწუხრში ისეთის შეტანა, რომელიც მას გადაფარავს და ახალი ცხოვრებისკენ გაგვიხსნის გზას. განა ფინეთ-სსრკ-ის, გერმანია-რუსეთის მაგალითები ამას არ გვიკარნახებენ?



ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიგოლოგი.

კიბერშეტევა ვატიკანის კომპიუტერულ ქსელზე

ბოლო თვეების განმავლობაში ვატიკანის კომპიუტერულ ქსელზე რამდენიმე კიბერშეტევა მოხდა. გამოცემა კომპანია Recorded Future-ს მონაცემებს ეყრდნობა, რომელიც კიბერუსაფრთხოების სეგმენტში საქმიანობს. ჰაკერების მიზანი იყო ვატიკანის კომპიუტერულ ქსელში შეღწევა და ჰონგ-კონგში ვატიკანის ინტერესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. გამოცემის ცნობით, კიბერთავდასხმა ვატიკანის კომპიუტერულ ქსელზე მაშინ მოხდა როცა, რომის პაპი ჩინეთში ეპისკოპოსების დანიშვნის საკითხს განიხილავდა. მოიპოვეს თუ არა ჰაკერებმა საიდუმლო ინფორმაცია, ამ დრომდე დაზუსტებული არაა.

გაუფერმკრთალებელი პერსონაჟები

„ახალი ელეაზარი - პავლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვაში“

„ახალი ელეაზარი (პავლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვაში)“ როსტომ ჩხეიძის სხვა ტექსტთაგან განსხვავებული ნარატივია, მაგრამ – მხოლოდ სტრუქტურის თვალსაზრისით, „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ კი „იგივეა მარად და მარად“ – მამულიშვილთა პორტრეტების ამომზევება.

„პავლე ინგოროყვას ათინათი დასთამაშებს ჩემს მეცნიერულსა თუ ესთეტიკურ ძიებებს... „ქართული ცივილიზაციის ისტორიიდან“ მონაბერი სიო მსჭვალავს ჩემს მსოფლხედვას, მიბჯენილს უშორეს წარსულს, ქალდეად სახელდებულსო“, წერდა ავტორი მეოცე საუკუნის გამორჩეული მოაზროვნისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ რომანში **„ბედი პავლე ინგოროყვასი“** (მესამე გამოცემის წინასიტყვაობა) – ოცდარვარომანიანი რკალის (როგორც თავად უწოდებს, **„საქართველოს ზნეობრივი ისტორიის“ (280) ერთ უარსებითეს „ხრტილში“**.

კონსტანტინე გამსახურდიას ქრესტომათიული ციტატით, **„მწერლობა გმირობის გამოსარჩლებაა“,** როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანთა რკალი – გმირობის გამოსარჩლების უკეთესი ნიმუშთაგანი.

ორივე ტექსტში **(„ბედი პავლე ინგოროყვასი“, „ახალი ელეაზარი“)** ერთი და იგივე პერსონაჟია მთავარი მოქმედი პირი, მთავარი ფიგურა – **„რაინდი სწავლული“** (რევაზ ბარამიძის თქმით), **„მეუდაბნოე მეცნიერი“** (მამუკა წიკლაურის განსაზღვრებით) – ეპოქის, საუკუნის სინდისი – შავჩოხიანი პავლე ინგოროყვა.

რატომ დაისაჭიროვა მწერალმა ორი ტექსტი ერთი პიროვნების ბედის რეფლექსირებისათვის?

პავლე ინგოროყვას მონუმენტური ფიგურა ათას ტექსტშიც ვერ აირეკლება სრულყოფილად, იმდენად დიდია „მონაღვლის“ ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, მაგრამ როსტომ ჩხეიძის ორივე ტექსტი უაღრესად საყურადღებო რაკურსით წარმოაჩენს **„ქართული ცივილიზაციის ისტორიის“, „რუსთაველიანას“, „გიორგი მერჩულის“** ავტორის პორტრეტს, თან – ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულად.



ბიოგრაფიულ რომანში როსტომ ჩხეიძე უანრის კანონთა ზედმიწევნითი დაცვით ქმნის ტექსტის მხატვრულ ქსოვილს – ეპოქის პოლიტიკურ-კულტურულ კოლიზიათა ტრაგიკულ ანარეკლს, წარმოსახვაში გამოტარებულ-რეცეფცირებულს. მწერალი თითქოს კომპოზიტორია, სტრუქტურის თხზვისას, მთავარი ტონისა თუ ობერტონების შერჩევა-გადარჩევისას – სავსებით თავისუფალი, ხოლო **„ახალ ელეაზარში“** კი მოკრძალებით უხმობს საკუთარ თავს არა ავტორად, არამედ – მხოლოდ **„შემდგენელ-რედაქტორად“** – ანუ ტექსტი-ორკესტრის დირიჟორის ამპლუაში წარმოგვიდგება.

„ორკესტრი“ ბრწყინვალე ჰყავს პოსტმოდერნისტ ავტორს: იპოლიტე ვართაგავა, ვასილ ბარნოვი, გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ვიქტორ გაბესკირია, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ქუთათელი, ლადო ავალიანი, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე, რევაზ ბარამიძე, აკაკი ბაქრაძე, მურმან ლებანიძე, ვახტანგ ჯავახაძე, ტარიელ ჭანტურია, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭელიძე, მამუკა წიკლაური, ზურაბ კიკნაძე, ნოდარ გრიგალაშვილი, ვახტანგ გორგანელი, ელგუჯა მარლია... – დასი „მონაღვლეთა“, ვის პოეტურ, პროზაულ თუ პუბლიცისტურ ნააზრევში არეკლილ-განსახოვნებულა პორტრეტი პიროვნებისა, სერგო ორჯონიკიძეს რომ დააცდენინა, ლევან რაზიკაშვილის შეწყალების მოაჯენ, ვაჟას შვილი კი არა, თავად ვაჟაც რომ იყოს, მასაც დავხვრეტდიო.

რევაზ ბარამიძის უზუსტესი შეფასებით, პავლე ინგოროყვამ **„ეს ვანდალური ფორმულა შეუნახა კაცობრიობას, როგორც ბოლშევიკური აზროვნებისა და სტილის კლასიკური, ამომწურავი ნიმუში.“**

როსტომ ჩხეიძეს მხოლოდ რომ შეეკრიბა და დაელაგებინა „მონაღვლეთა“ ტექსტები, ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევდა მადლიერ მკითხველს, რომლის თვალსაწიერსაც გააფართოებდა მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ეპოქათა გამორჩეული მოაზროვნეების პავლე ინგოროყვასადმი დამოკიდებულების რეფლექსიები, მაგრამ თანამედროვეობის გამორჩეული მწერალი-ბიოგრაფოსი კომპილაციური სტრუქტურის ნარატივშიც მწერლად რჩება (ანუ – არა დირიჟორად, არამედ – კომპოზიტორად) და კონტრაპუნქტის პრინციპით აგებს ახალ წიგნს ძველ, მარადიულ პერსონაჟზე – საქართველოს **„თანამდევ უკვდავ სულზე“** – პავლე ინგოროყვაზე.

კომპილაციას ახლავს გამაერთიანებელი „ხრტილი“ (გრიგოლ რობაქიძე), ორიგინალურად სახელდებული **„რედაქტორის მინაწერად“,** რაც სავსებით ცვლის შთაბეჭდილებასა და ემოციას – კომპილაციის ნაცვლად, ჩვენ წინაშე კვლავ რომანია, დიდი პასუხისმგებლობით, სიყვარულით ქმნილი – პოსტმოდერნისტული ინტერტექსტი, რომლის კლასიკურ განმარტებასაც **როლან ბარტი** გვთავაზობს: **„ყოველი ტექსტი ინტერტექსტია - მასში სხვა ტექსტები მყოფობენ მეტ-ნაკლებად შეცნობად დონეებზე მეტ-ნაკლებად შეცნობადი ფორმით, წინმსწრებ და გარემომცველ კულტურათა ტექსტები. ყოველი ტექსტი ახალი ციტატებით ნაქსოვი ახალი ქსოვილია.“**

„ახალ ელეაზარში“ როსტომ ჩხეიძე „ციტატებს“ (ანუ „წინმსწრებ და გარემომცველ ტექსტებს“) კი არ ნიღბავს, მათ მარკირებას ახდენს, თითქოს ავტორთა პერსონალიზებასა და დეპერსონალიზებას ერთდროულად ესწრაფის, რათა ტექსტთა ფრაგმენტებით, დისკრეტული პოეტური ნაწყვეტებით, ლაიტმოტივებით, წარმოსახვის ლოგიკით ახალი მხატვრული რეალობა შექმნას.

„ძველ ციტატებად“ როსტომ ჩხეიძე „ახალ ელეაზარში“ მეოცე საუკუნის ავტორიტეტულ პერსონალიათა მოსაზრებებს დაისაჭიროებს, რათა კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, **„რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“** პავლე ინგოროყვას წარმოუდგენლად მონუმენტური მემკვიდრეობის სახით – სხვა თუ არაფერი, ქრესტომათიული მონოგრაფია **„გიორგი მერჩულე“** ხომ სულიერი კონსტიტუციაა, **„რუსთაველიანა“ – „ვეფხისტყაოსნის“** („სახარების ეროვნული ტრანსკრიფციის“ – გურამ ასათიანი) ბრწყინვალე რეფლექსია და რომელი ერთი?! **„ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“...**

ავტორი-რედაქტორი „გრიგოლ ხანძთელის ეპოსიდან მეოცე საუკუნეში გადმოხვეწილად აღიქვამს პავლე ინგოროყვას, თუნდაც ახალ გრიგოლ ხანძთელადაც, იმ სულის უწყვეტობის შენარჩუნება რომ დაჰკისრებოდა არანაკლებ და ეგებ, უფრო მეტადაც – **შემზარავ სინამდვილეში და იმ შთაგონებითა და თავგანწირვით აღასრულებდა მისიას, საუკუნეთა სიღრმიდან რომ მომადლებოდა.“**

მწერალი-ბიოგრაფოსის ყოველი ტექსტის მთავარი ინსპირატორი – ოთარ ჩხეიძე წერდა: **„ასე მგონია, მერჩულე გამოსულა სენაკიდან-მეთქი, პავლე ინგოროყვას რომ მოვკრავ თვალსა – გამოსულა დაღლილი წიგნითა, დაღლილი ფიქრითა, დაღლილი სენაკის მდუმარებითაცა... მერჩულე სწორედ ასეთი იქნებოდა – თხელი, გამხდარი, სანთლის შუქზე ამოღამებული თვალებით“...**

ოთარ ჩხეიძე „მონაღვლეთა“ ბრწყინვალე პორტრეტს ხატავს – ისინი ერთმანეთს ჰგვანან, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პერიფრაზით, ერთი სულია სხვადასხვა სხეულში – საქართველოს „თანამდევი, უკვდავი სული“ – სხვადასხვა ეონში განსხეულებული.

როსტომ ჩხეიძე ორივე ტექსტით („ბედი პავლე ინგოროყვასი“, „ახალი ელეაზარი“) აგრძელებს ქაშვეთის ზართა დარისხებას, ოცდაოთხი წლის ჭაბუკმა რომ დაიწყო 1983-ში, პავლე ინგოროყვას დაკრძალვისას, რათა პოსტმოდერნიზმის გულგრილ ეპოქაში, **„დიდი ნარატივების გაფერმკრთალების“** (ალან კირბი) ჟამს ქართველთა სულიერი ისტორია გაუფერმკრთალებელ დიდ ნარატივად შეგვაგზნებინოს...

ნანა კუცია

ლაგზარე ძველი წარწერებიდან

დავით წერედიანის პოეტური კრებული

„დასასრული ჯერ არ დამდგარა“ – აჰა, იმედიც. **„სასოწარკვეთა გეყოსო“,** მაგრამ მაინც, მაგრამ მაინც იმედი. დასასრული ჯერ არ დამდგარა... ვზივარ გზისპირას მარტო. – არ ჩაქრე, მწარე სახმილო, მაცოცხლებელო დარდო...

...გასწი, იარე,
ნურას ეჭვობ,
უქმეა ზრახვა,
ზღაპარმა შენმა
თავად იცის,
რა მხარეს წახვალ,
უფლის პერანგზე
დათვლილია ყოველი ღილი...



როგორც იქნა, მოვიპოვე, მოვიხელთე **დავით წერედიანის** პოეზიის ეს ახალგამოცემული კრებული „პარაპეტი“ („ინტელექტი“, 2020) – ისეთი ლექსებიც რომ შევიდა, აქამდე რომ არ წამეკითხა, რომ არ შევხებოდი...

და ველოდი ამ წიგნთან შეხვედრას, როგორც მაგიური კარიბჭის გახსნას, როგორც ეფუთის გადაშლას, როგორც ვარსკვლავეთის დინებას, მოღებულ სარკმელს, ორიონის ვერცხლოვან დარანს...

როგორც შეხვედრას დედა ევდოკიასთან, როგორც მიახლებას ძველ წარწერებთან – „და დავესვენე წმიდასა ამას... უფლისა... ცხრამე... (ცოდვანი ჩემნი... ითა და) ...ისაითა და... ამენ.“

ფეხისხმებად და სიჩუმედ შემოდის დათო წერედიანის სიტყვები – ექოებით მოდის ჩანაფიქრები, მწარე ძახილებად მოდის ქვად ქცეული ღამიდან რომ უნდა გააღწიოს.

მოდის დარჩენილი სარკმლიდან, არაფრიდან და არც არაფრიდან მოდის.

და ამავე სარკმლიდან **„მივფრინავთ, სადაც სინათლეა, სიმსუბუქე, ღრუბლები დიან, სადაც სიყრმე და სიყვარული არასოდეს არავისთვის არ არის გვიან.“**

რა ლამაზია დავით წერედიანის სევდა... უკანასკნელი სინანულიც რა ლამაზია, რა მშვენიერია... კვირიკესავით ლამაზი, ლურჯად მწვეთარი – როგორც კვირიკე – ცრემლის ნათელში მდგარი, როგორც ჩონგურის ლარი.

სურნელიც ნარდისაა, არქაულიც, ნელსევდიან ფრთებს რომ დაჰკეცავს ანგელოსი, ტროპარის ნუსხურ გზაწვრილზე ჩამომსხდარ თეთრ მტრედებს რომ შემოხვდები... ხელაპყრობილი ფრესკები საეროთა თვალს რომ ეფეთებიან წმინდანებამდე.

თეთრი ყვავილები – არც კი იციან, როგორ უხდებიან სიკვდილს, ღვთისმშობლის მიძინებას, სალაზარობო ნათელს.

და ტკივილები... დახვრეტილი მამის, გამქრალი დედა ევდოკიასი, ტყვიით დაცხრილული ბეკეკასი - მაცხოვრის სახებადაც რომ წარმოგვიდგება და უღმერთობის ბოლშევიკური დროის ტრაგედიად, მის ისტორიულ სიმბოლოდაც.

ტკივილები და სიმწარეები ყველა მათი **„ვისაც საფლავები არ დარჩენიათ, ვინც საიდუმლო გვირაბებში თიხად ჩაგლისეს, ან ვისმა ძვლებმაც ყინულეთის მიწა მოფინა...“**

ტყვიები ჩქარა!

როცა „კაკლებშიც“ ისვრიან ...

წყნეთის შესასვლელში, „კაკლების“ დასახლებაში 5 ტყვიით დაცხრილეს „ვერის საძმოს“ წევრის, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ლერი სულაბერიძის მანქანაო – გვაუწყეს სამშაბათ საღამოს საინფორმაციო საშუალებებმა (ცნობისათვის: მისი ძმის სიცოცხლე გახმაურებული ავტოავარიის შედეგად ბულგარელმა დიპლომატმა შეიწირა).

ბუნებრივია, კოლეგებს ტონი მიშისტურმა ტელევიზიებმა მისცეს, რომლებიც თავიანთი პატრონების „უმწიკვლო“ წარსულის ფონზე ყველას განიკითხავენ და ერთი სული აქვთ, საკუთარი სიუჟეტების პერსონაჟები მხოლოდ უარყოფით კონტექსტში წარმოგვიჩინონ.

კი ბატონო, გასული საუკუნის იმ ავბედით 90-იან წლებში მაშინდელმა საძმოებმა, მხედრიონმა და გვარდიამ მრავალ ცოდვაში ჩადგეს ფეხი, მაგრამ, კურდღელი ნაცების გაწვრთნილი შეიარაღებული ძალებისგან განსხვავებით, რომლებმაც 5 დღეში მოახერხეს მათივე პროვოკაციის შედეგად შემოტყუებული მტრისთვის სამშობლოს მეხუთედის ჩაბარება, ისინი წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ღირსეულად უმკლავდებოდნენ რუსეთის რეგულარული ჯარის, კაზაკების, ჩრდილოკავკასიელი კონფედერატების, „მოძმე“ სომეხთა ბაგრამიანის ბატალიონისა და კიდევ ათასი ჯურის გადამთიელ სამხედროთა გაერთიანებული არმადის იერიშებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ვიდრე ცენტრიდან ტაქტიკური, სინამდვილეში – მოღალატეობრივი უკანდახევის ბრძანება არ მიიღეს, ფსოუზეც კი გავიდნენ! მადლობა ღმერთს, აღნიშნული გმირული ბრძოლის ამსახველი კადრები მრავლად შემოგვინახა ფოტოქრონიკამ და ჯერაც ცოცხალია იმდროინდელი უთანასწორო ოპერაციების მონაწილეთა ნაწილი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, თეთრს თეთრს დაარქმევს და შავს – შავს.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, სწორედ მხედრიონელ მერაბ ჟორდანიას, „კომსომოლა“ რომან შოთაძის, უჩა მალაზონიას, „კაიფარიკ“ მერაბ რატიანის, ლერი სულაბერიძისა და მათი მეგობრების დამსახურებაა, ევროპულმა ბრენდმა თბილისის „დინამომ“ საერთაშორისო ავტორიტეტი რომ შეინარჩუნა და დღემდე სამამულო ფეხბურთის ლიდერად რჩება.

მეტ-ნაკლები დოზით, იგივე შეიძლება ითქვას ეროვნული ფედერაციის ნამოღვაწარზეც, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, გარკვეული პერიოდის მანძილზე სწორედ „დილეტანტთა“ დასახელებული ჯგუფი თავკაცობდა.

ასე რომ, მართალია, ეს „კრიმინალური ელემენტები“ ვარდ-ყვავილოვანი ხელისუფლების წარმომადგენელთა მსგავსად დავარცხნილი ბიოგრაფიებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ქართული ფეხბურთის უახლეს ისტორიაში გაკეთებული სასიკეთო საქმეებით მაინც შევიდნენ.

დავძენთ, რომ ლერი სულაბერიძეს თბილისის „დინამოსთან“ დაკავშირებულ დავაში ორი სასამართლო ინსტანცია აქვს მოგებული. იქნებ, ამ პროცესის გამოძახილია წყნეთის „კაკლებში“ გასროლილი 5 ტყვია?!

გია პლატონიშვილი

◎ ფალავანი

ღიმილიანი კაცის ნათელი

მუდამ გაღიმებული სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა ირგვლივ...

ვეტერანი მოჭიდავე, ბერძნულ-რომაული სტილის ფალავანი, სპორტის ოსტატი **გია ჯოხაძე** სულ ახლახან, გაგანია პანდემიის დღეებში, 66 წლისა სრულიად მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან, რითაც დიდი ტკივილი დატოვა ახლობელთა და ნაცნობ-მეგობართა გულებში.

მისთვის ხალიჩა ოჯახურ ტრადიციას უკავშირდებოდა, რადგან მამა, ბატონი ილია ჯოხაძე ცნობილი არბიტრი გახლდათ და მოჭიდავეთა საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებსა და ოფიციალურ ჩემპიონატებს მსაჯობდა.

გია დედაქალაქში გაიზარდა, თუმცა, რაჭაში მშობლიურ შქმერსაც ხშირად აკითხავდა და არ ივიწყებდა მამა-პაპისეულ კარმიდამოს...

ძველ ფალავნებსა და თანაგუნდელებს მუდამ გვემახსოვრება ალალი და ღიმილიანი გია ჯოხაძე.

ნათელი და სანთელი მის ხსოვნას!

მეგობრები



◎ 64

იოსებ კრიხელი (1931-1988), ქართული საჭადრაკო სკოლის გამოჩენილი კომპოზიტორი, პროფესიით ფიზიკოსი იყო. დაიბადა სამაჩაბლოში. გაიზარდა უმძლავრესი ქართული თემის გარემოცვაში. მეცნიერებათა კანდიდატი წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გორში.

მრავალსვლიან ამოცანათა დიდოსტატი

„შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო“



იოსებ კრიხელი
TIDSKRIFT FOR SCHACK
შვედეთი, 1986 წ.
II პრიზი





მოგება

შენიშვნა: როგორც ვხედავთ, თეთრი მეფისა და ეტლის ტაქტიკურად და ტექნიკურად ნატიფი სვლები შანსს არ აძლევს მოწინააღმდეგეს, რათა თავი დააღწიოს წაგებას. ამრიგად, მოცემულ ეტიუდს პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

იოსებ კრიხელი საქართველოს ღირსეული ადგილი უჭირავს მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ პრობლემისტ დიდოსტატთა შორის.

შეჯამდა რა საჭადრაკო კომპოზიციაში 1969-70 წლების სსრ კავშირის ჩემპიონატების შედეგები მრავალსვლიანი ამოცანების კონკურსში, იოსებ კრიხელს საპატიო II ადგილი ერგო, ხოლო სსრკ გუნდურ ჩემპიონატში (1970-1971) კომპოზიციაში საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იოსებ კრიხელიც თამაშობდა, ასევე II ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო დიდოსტატმა (1984) I ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა სსრკ-ს მე-15-ე ჩემპიონატში.

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესოა ბრწყინვალე საჭადრაკო კომპოზიტორის გვარის წარმოშობის ამბავი. რაჭაში, ამბროლაურის რაიონში არის ულამაზესი სოფელი კრიხი, სადაც ოდითგან ქართველ ებრაელთა მოზრდილი დასახლება იყო და მისმა მკვიდრებმა გვარი სწორედ ამ ადგილის პატივსაცემად მიიღეს. ვიდრე ქართველ ებრაელთა მასობრივი ალია განხორციელდებოდა, ჩვენს ქვეყანაში ამ გვარის სამასამდე წარმომადგენელი სახლობდა, რომელთა ნაწილიც დღეს ისრაელში სხვადასხვა გვარით ცხოვრობს. მათ შესახებ მასალები ქვეყნდებოდა გაზეთში „ალია საქართველოდან“, რომელსაც ცნობილი ჟურნალისტი აბრამ საფირი (სეფიაშვილი) რედაქტორობდა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ოჯახის (თ. შ.) უახლოესი მეზობელი იყო ულამაზესი ქალბატონი, ცნობილი ექიმი-ტრავმატოლოგი, ქალბატონი სონია კრიხელი, რაც თუნდაც იმით დასტურდება, რომ მისი ფერწერული პორტრეტი საგანგებოდ შეასრულა საქართველოს სახალხო მხატვარმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, პროფესორმა კორნელი სანაძემ.

ეს ნაწარმოები, რომელიც წლების წინათ შეიძინეს იტალიელმა ხელოვნებათმცოდნეებმა, ამჯერად აპენინებზე ერთ-ერთ მუზეუმს ამშვენებს.

გთავაზობთ საჭადრაკო კომპოზიტორის გამორჩეულად საინტერესო ეტიუდს დავით გურგენიძის წიგნიდან.

თამაზ შენგელია

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზიადინ ხალილოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზიადინ ხალილოვი (პ/ნ 36001026492), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქ. №4

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქუჩა, სახლი 4 (საკადასტრო კოდი: 55.21.51.319 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 36025.27 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 29 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 13 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66938920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 669389

6. **მოვალე:** ზიადინ ხალილოვი (პ/ნ 36001026492), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქ. №4;
ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23;
სუბხან ხალილოვი (პ/ნ 36001031064), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქ. №4
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66938920; ლოტის ნომერი: 669389).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 13 აგვისტოს 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ზაჰიდ ისმეილ ოღლის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაჰიდ ისმეილ ოღლი (პ/ნ 24001004584), კასპი, სოფელი ჩანგილარი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

კასპი, სოფელი ჩანგილარი (საკადასტრო კოდი: 67.06.36.051https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 41863 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 29 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 13 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66939920;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 669399

6. **მოვალე:** ზაჰიდ ისმეილ ოღლი (პ/ნ 24001004584), კასპი, სოფელი ჩანგილარი;
რაშიდ ისმეილ ოღლი (პ/ნ 24001026039), კასპი, სოფელი ფერმა
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66939920; ლოტის ნომერი: 669399).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 13 აგვისტოს 10:00 საათამდე.

სულთათანა

რეზო ამაშუკელი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი

გელა მუხაშავრია

კაცი მთასავით ძლიერი, სამეგობროს პატრონი და უკეთილშობილესი პიროვნება. მე არ დავიწყებ მისი ტიტულების ჩამოთვლას, მას ჰქონდა ყველაზე დიდი ტიტული – ის იყო გელა მუხაშავრია!

ვუსამძიმრებ ყველას, მთელ საქართველოს!

გრიგოლ შონია, ნუნუ სხირტლაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ქვისლი და სიძე

გელა მუხაშავრია

დაკავებულია ორი კრიმინალური ავტორიტეტი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი ორი პირი: ერთ-ერთი ქართველი „კანონიერი ქურდის“ ძმა, კრიმინალური ავტორიტეტი, 1992 წელს დაბადებული ლ.ბ. და ასევე, კრიმინალური ავტორიტეტი, 1994 წელს დაბადებული კ.კ. თბილისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, მათ ბრალი „ქურდული სამყაროს“ წევრობაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედებათ. დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ კრიმინალური ავტორიტეტები და „ქურდული სამყაროს“ წევრები – ლ.ბ. და კ.კ. „კანონიერი ქურდების“ მითითებებს ასრულებდნენ. მათ შორის, ფიზიკური ანგარიშსწორებით, მუქარითა და „ქურდული გარჩევის“ გზით, „კანონიერი ქურდების“ დავალებით, მოქალაქეებსა და მეწარმეებს თანხებს სძალავდნენ და ე.წ. ქურდულ საერთოს ავსებდნენ.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ილია შეყელაძეს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ილია შეყელაძე (პ/ნ 25001046763), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი (საკადასტრო კოდი: 54.13.60.014https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 17870.52 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 30 ივლისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 13 აგვისტო, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66981620;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 669816

6. **მოვალე:** ილია შეყელაძე (პ/ნ 25001046763), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი;
ვალერი ბარბაქაძე (პ/ნ 25001004556), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი;
შალვა შეყელაძე (პ/ნ 25001014530), ლაგოდეხი, სოფელი ჭაბუკიანი.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66981620; ლოტის ნომერი: 669816).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 13 აგვისტოს 10:00 საათამდე.

600 ბოთლი ქართული ღვინო დასაგემოვნებლად

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ლატვიაში 51 მცირე მარნის 600-მდე ბოთლი ღვინო გაგზავნა. ქართული ღვინის ნაწილი რიგაში, 29 და 31 ივლისს დაგეგმილ დეგუსტაციებზე იქნება წარდგენილი.

დეგუსტაციებს ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ღვინის დარჩენილი ნაწილი ლატვიაში მიმდინარე წლის ბოლომდე დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებაზე იქნება წარმოდგენილი.

მცირე მარნების მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია COVID-19-ის ვირუსის პანდემიის ფონზე, რომელმაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, ქართული ღვინის ინდუსტრიაც დაზარალა.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, „მცირე მარნების მხარდაჭერის პროგრამა“ შემუშავდა. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის მწარმოებელი მცირე მარნების სადეგუსტაციო ნიმუშების სხვადასხვა ქვეყანაში ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

მშვიდობით, ერთ და ორთეთრიანებო

საქართველოს ეროვნული ბანკი შეახსენებს მოქალაქეებს, რომ 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების მიმოქცევაში საგადამხდელო საშუალებად გამოყენების ვადა 2020 წლის ბოლოს იწურება.

2021 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის განმავლობაში, 1 და 2 თეთრის ნომინალის მონეტების გადაცვლა განხორციელდება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან - მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით, უვადოდ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 14 სკოლა შეკეთდება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 14 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც სველი წერტილებიც მოეწყობა.

სამუშაოები 10 საჯარო სკოლაში უკვე მიმდინარეობს, რომელსაც ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 462 ათასი ლარით ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მტმ“ ახორციელებს, 4 სკოლაში კი ინფრასტრუქტურული პროცესები უახლოეს მომავალში დაიწყება.

ნეოოსმალური მახვილით აია სოფიას ხელახლა დაპყრობა ხდება

საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნიკოს დენდიასმა განაცხადა, რომ თურქეთის ხელმძღვანელობა ნეოექსპანსიონისტურ პოლიტიკას ატარებს, ხოლო სასულიერო პირები კი ოსმალეთის იმპერიის ეპოქაში დაბრუნებისკენ მიისწრაფვიან. ამის შესახებ საბერძნეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ესპანელ კოლეგასთან არანჩა გონსალეს ლაიესთან შეხვედრის დროს განაცხადა.

„ჩვენ პატივს ვცემთ თურქ ერს, თუმცა ვგმობთ თურქეთის მთავრობის პოლიტიკას, ვინაიდან ამას ევროპა გმობს. ევროპა ხედავს, თუ როგორ ხდება ნეოოსმალური მახვილით აია სოფიას მუზეუმის ხელახლა დაპყრობა. ამრიგად, თურქეთი კულტურათაშორისი დიალოგის თანამედროვე სიმბოლოს ანადგურებს, რათა შემდგომში ის მეჩეთად გადააქციოს. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ თურქეთი მე-15 ან მე-16 საუკუნეში ბრუნდება“, — განაცხადა საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

უმსხვილესი თერმოატომური რეაქტორი



საფრანგეთში უმსხვილესი თერმოატომური რეაქტორის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც ექსპერიმენტებისთვის გამოიყენებენ.

წარმატების შემთხვევაში, ეს პროექტი ენერგეტიკის სექტორში გარღვევა იქნება და მსოფლიოს ეფექტურ და უსაფრთხო ენერგიის წყაროს შესთავაზებს.

სხვა რეაქტორებისგან განსხვავებით, აქ ენერგიის მიღება ატომის სინთეზით, ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიით ხდება.

პროექტის მიზანია, დაამტკიცოს, რომ ატომის სინთეზით მიღებული ენერგია კომერციული თვალსაზრისით მომგებიანი იქნება.

გამოსცადეს უდიდესი ჰიდროთვითმფრინავი

ჩინეთში მსოფლიოში უდიდესი ჰიდროთვითმფრინავი AG600 გამოსცადეს. საფრენმა აპარატმა წყალზე პირველი ფრენა წარმატებულად შეასრულა.

თვითმფრინავ ამფიბიის ტესტირება ქალაქ ცინდაოში შედგა, რომელიც ყვითელი ზღვის სანაპიროსთან მდებარეობს. თვითმფრინავი ჰაერში 30 წუთის განმავლობაში იმყოფებოდა. მანამდე ის ხმელეთზე და წყალსაცავში გამოსცადეს.

ჰიდროთვითმფრინავ AG600-ის ეკიპაჟს 50 მგზავრის გადაყვანა შეუძლია. თვითმფრინავს აქვს ოთხტურბინიანი ძრავი Dongan WJ-6. თვითმფრინავის წონა 53,5 ტონაა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-25

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0701; ევრო - 3.5165;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9006;
100 რუბლი - 4.3433; თურქული ლირა - 0.4479;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8059;
1000 სომხური დრამი - 6.3533.

ამინდი 23 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+32
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+31
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+29

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge